საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 211 (231) ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

თავისუფლების ერთი წელი...

შეხვედრა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან

მთავრობის სასახლესთან გამართული ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ, რომელიც ქართველი ხალხის უდიდეს გამარჯვებას — საბჭოთა სინამდვილეში პირველი მრავალპარტიული არჩევნების წლისთავს მიეძღვნა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს.

— დღეს, განაცხადა მან, — უმნიშვნელოვანესი დღეა ქართველი ერის ისტორიაში და არა მარტო მის, არამედ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიაში. დიახ, 9 აპრილმა და 28 ოქტომბერმა დასაბამი მისცეს არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილ იმპერიაში შემავალი რესპუბლიკების, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხების ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. სამწუხაროდ, დღეს ამ ფაქტის დანახვა არ სურთ, ზოგიერთებს არც საქართველოშიც და არც მის გარეთ. მაგრამ, სიმართლე სწორედ ის შუბია, რომელიც ხალთაში არ დაიმალება.

28 ოქტომბერზე როცა ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა მოუტანა ამ დღემ დამონებულ ხალხებს. საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩვენში გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევას. მართალია, დღეს საქართველო დიდ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ ჩვენ და ჩვენი მოძრაობა მზადაა ვართ ვიბრძოლოთ ბოლომდე, საბოლოო გამარჯვებამდე.

იმპერიული ძალები ბევრ დეზინფორმაციას ავრცელებენ ჩვენზე. შეიძლება ითქვას, ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღებულია ნამდვილი ინფორმაციული ომი. ამიტომ, დღევანდელ შეხვედრას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

შემდეგ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს.

კითხვაზე, **წილებს თუ არა საქართველო მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ვალების გადახდაში** პრეზიდენტმა უპასუხა: რა თქმა უნდა, თუ ქონება და, რაც მთავარია, ოქროს მარაგი თანაბრად იქნება გაყოფილი. ამ საკითხზე ახლახან გამოქვეყნდა უკრაინის მემორანდუმი და საქართველო მთლიანად უჭერს მას მხარს. საერთოდ კი, — თქვა მან, — მე კრემლის ოპოზიციად ვრჩები და ვერავითარი მუქარა ვერ შეცვლის ჩვენს გადაწყვეტილებას ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე. ქართველი ხალხი მიჩვეულია სიძნელეებს და ამჟამადაც შეძლებს გადალახოს ისინი.

კითხვაზე **ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ასამბლეის შესახებ** პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი გმობს ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობის მცდელობას სამაჩაბლოს მიერთების თაობაზე, გაგზავნილია სათანადო პროტესტი. რაც შეეხება ბატონ ბორის ელცინთან ურთიერთობას, იგი ყოველთვის კარგი იყო, მაგრამ ამჟამად სამაჩაბლოს პრობლემასთან დაკავშირებით რამდენადმე გაურკვეველია მისი პოზიცია.

ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, **რამდენი საბჭოთა ჯარისკაცია ამჟამად დისლოცირებული საქართველოში.** მათი რიცხვი 200 ათას კაცს აღემატება. დაისვა საკითხი მათი საქართველოდან გაყვანის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან არაა დაწყებული. ამასთანავე, საფუძველი ჩაეყარა საკუთარი რესპუბლიკური არმიის შექმნას.

პრეზიდენტმა ილაპარაკა დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ეს არაა მხოლოდ საქართველოს პრობლემა. დღეს ჩვენზე უფრო თვით მოსკოვს უჭირს. საერთოდ კი, დასძინა მან, — მსოფლიოში არც ერთ პარლამენტს არ ძალუძს ერთ წელიწადში გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, მით უმეტეს, რომ ეს იმ ქვეყნის პრობლემაა, რომელსაც, მიუხედავად მიღწეული თავისუფლებისა, ჯერ კიდევ ვერ გავემიჯნეთ მთლიანად. კრიზისიდან გამოსვლას კი ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოვეყოფით ყოფილ საბჭოთა კავშირს, მოვიპოვებთ ჭეშმარიტ თავისუფლებას.

— რა მოუტანა თავისუფლების ერთმა წელიწადმა საქართველოს?

ამ კითხვაზე პრეზიდენტმა ასეთი პასუხი გასცა: — ჩვენში გაუქმდა კომპარტიის რეჟიმი, შეწყდა ქართველი ჭაბუკების რუსეთის არმიაში გაგზავნა, ქართული მიწების გაყიდვა-განიავება. ბოლო მოეღო ქართული ენის დევნას და ჩაგვრას, ალბათ, შეცდომებიც არაერთი დავუშვით, — თქვა პრეზიდენტმა, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო ჩვენს პირობებში, უთუოდ ვერ ასცდებოდა ამას.

ბევრს აინტერესებდა **საქართველოს დამოკიდებულება ჩეჩნეთ-ინგუშეთის პრობლემებისადმი.** — ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ერის სწრაფვას თავისუფლებისაკენ, თუ ისინი თავის ტერიტორიაზე იმყოფებიან. რაც შეეხება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხების ბრძოლას, ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ იდეას და არავითარ შემთხვევაში არანაირი სახით არ ჩავერევით კონფლიქტში.

— მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ცენტრალური ტელევიზიის გადაცემაში „ვინ არის ვინ?“

— რატომაც არა?! — მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამას არ დაუშვებს ცენტრალური ტელევიზიის ხელმძღვანელობა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბევრ სხვა კითხვაზეც გასცა პასუხი. ისინი ეხებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ ასპექტებს.

დაძაბულობა დარბაზში ერთგვარად განმუხტა კითხვამ: **რა გუნებაზე ბრძანდებით დღეს, ბატონო პრეზიდენტო?**

— ძალიან კარგზე, — უპასუხა მან. საქმეები უკეთ მიგვდის, სულ მოკლე ხანში გვცნობს კიდევ რამდენიმე ქვეყანა. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა — შინაური და გარეშე მტრების მცდელობისა, უფრო მკვეთრად იკვეთება საქართველოს მომავალი გამარჯვებები.

საქინფორმი.

მინისტრთა კაბინეტში

რა გვიჩვენა ანალიზმა...

29 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის თავმჯდომარეობით. განიხილეს წლევანდელ ცხრა თვეში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ. განვლილი პერიოდი, — თქვა მან, — გამოირჩეოდა ფრიად რთული და წინააღმდეგობრივი მომენტებით. საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა და გამწვავებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ მნიშვნელოვანწილად შეაფერხა რესპუბლიკის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სწრაფვა სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებისადმი, ხორციელდება მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მწვავედ იგრძნობა ეკონომიკური ბლოკადის შედეგები, რაც განსაკუთრებით აშკარად ვლინდება საჭირო რესურსებით ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის უზრუნველყოფაში. არ გაზრდილა მატერიალური წარმოების დონე. სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გვაკლია რესპუბლიკური საბიუჯეტო სახსრები, რომელთა საგეგმო დეფიციტი შეადგენს 1239 მილიონ მანეთს. მოიშალა ტრადიციული სამეურნეო კავშირურთიერთობანი, რომელიც წლობით ყალიბდებოდა მონათესავე დარგებს შორის როგორც თვით რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

უკიდურესად გაღარიბდა სამომხმარებლო ბაზარი. გრძელდება აჟიოტაჟური მოთხოვნა სურსათსა და ფართო მოხმარების საქონელზე, კვლავინდებურად საქონელბრუნვის ზრდა მიიღწევა, ძირითადად, ფასების უკონტროლო ზრდის გზით. კრიტიკას ვერ უძლებს შრომის, ტექნოლოგიური, ფინანსური და სახელშეკრულებო დისციპლინის მდგომარეობა. ამის გამო დაირღვა საწარმოთა საქმიანობა, იზრდება მოცდენები, საგრძნობლად დაქვეითდა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მატერიალური წარმოების დარგებში დაშვებულმა ჩავარდნებმა განაპირობა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. მაგალითად, ცხრა თვის მონაცემებით, რომლებიც გაანგარიშებულია წლევანდელი ფასების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ერთიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა შეადგენს 17,4 მილიარდ მანეთს, რაც 5,5 მილიარდი მანეთით, ანუ 19,7 პროცენტით, ნაკლებია შარშანდელ ფაქტობრივ დონესთან შედარებით. უფრო მეტიც, 2,3 მილიარდი მანეთით, ანუ 23 პროცენტით, შემცირდა წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა.

გ. აბსანძის აზრით, ბაზრის სტრუქტურების, ალტერნატიული ეკონომიკის ფორმირებას უმთავრესად ხელს უშლის რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური და სოციალური ვითარება. ჩვენ ჯერ არა გვაქვს კანონი საკუთრების შესახებ, ხოლო კანონები პრივატიზაციისა და მეწარმეობის შესახებ ეს-ეს არის ამოქმედდა. არადა, სამეურნეო ცხოვრების სტაბილიზაციისა და შემდგომი აღმავლობის მიზნით საბაზრო მექანიზმის აქტიური გამოყენების გზით თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. და მაინც, მომხსენებლის პროგნოზით წლის ბოლომდე დარჩენილ დროში უნდა მოხდეს რესპუბლიკის მატერიალური წარმოების დარგთა მუშაობის გარკვეული გაუმჯობესება, რაც რამდენადმე შეასუსტებს წარმოების ტემპის დაქვეითების ტენდენციას.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. რესპუბლიკის მთავრობის წინა ხელმძღვანელები, მათი გარემოცვა, — აღნიშნა მან კერძოდ, — მოქმედებდნენ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. ისინი ხელს უწყობდნენ დისციპლინის მოშლას, კორუფციის, ანარქიის განვითარებას. ხოლო შენიშვნების პასუხად დიქტატორს მიწოდებდნენ. დღეს ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ რესპუბლიკა ფაქტობრივად ომის მდგომარეობაშია. და ამიტომ საჭიროა გავაძლიეროთ სახელმწიფო კონტროლი. მისი სისტემა უნდა გაფართოვდეს, შეიქმნას შესაბამისი ქსელი ყველა პრეფექტურაში. არ უნდა დავრჩეთ დემოკრატის ყალბი გაგების ტყვეობაში, არ უნდა დავუშვათ უკონტროლობა და უპასუხისმგებლობა ჩვენს მოქმედებაში. განა შეიძლება იფიქრო მხოლოდ პირად გამდიდრებაზე, საკუთარ ჯიბეზე? ანდა შექმნა საბაზრო ეკონომიკა საკუთარი ნორმალური ვალუტის გარეშე და არ განიმსჭვალო ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობით? ჩვენ გვჭირდება არა საბჭოთა, არამედ პროდუქციის რეალურად მწარმოებელი კოოპერაცია. საჭიროა გააზრებული ხელმძღვანელობა, ყველა ამ პროცესის კოორდინაცია.

აზრთა გაზიარების შემდეგ, რომლის შედეგები შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა, სხდომის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება. მასში განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები სამინისტროებისადმი, დეპარტამენტებისა და უწყებებისადმი, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისადმი, პრეფექტურებისადმი, საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი შესაბამისი დარგებისა და წარმოებების კრიზისიდან გამოყვანისათვის, ეკონომიკის სტაბილიზაციისა და საბაზრო ურთიერთობაზე გადასასვლელად საჭირო წანამძღვრების შექმნისათვის.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

გ. დ. თოფურიას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გია დანიელის ძე თოფურია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

თ. უ. ლორიას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ უშანგის ძე ლორია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 ოქტომბერი.

ვითარება დმანისში

სამი დღეა მღელვარებაა დმანისის რაიონში. შაბათს, 26 ოქტომბრის საღამოს, აქ დაიღუპა ორი ახალგაზრდა — ენვერ გერლიანი და მამუკა ადუაშვილი. პირველი ავტომანქანამ გაიტანა, ხოლო მეორე, როგორც ეჭვმიტანილი, გახდა მასობრივი შურისძიების მსხვერპლი.

გუშინ, 29 ოქტომბერს, დმანისის ასახვევში ფანჩატურასთან გაიმართა დმანისელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა რაიონში შექმნილ მძიმე ვითარებას. მიტინგს დაესწრო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

დმანისელები, მათ შორის მამუკა ადუაშვილის დედა, ითხოვენ მკვლელების შეპყრობას და სამართლიან დასჯას, პრეფექტის გადაყენებას, რომელმაც სათანადოდ ვერ გაართვა თავი შექმნილ სიტუაციას.

პრეზიდენტმა დმანისელებს განუცხადა, რომ უკვე შექმნილი კომპეტენტური კომისია ყველაფერს ობიექტურად გამოიკვლევს. უახლოეს ხანში განხილულ იქნება აგრეთვე ახალი პრეფექტის დანიშვნის საკითხი.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: მიტინგის დროს დმანისში.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საზრუნავი

სათქმელი უნდა ითქვას

ჩვენი გაზეთის 26 ოქტომბრის ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების გასაცნობად ჩავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი ბაკურ გულუა, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

პრემიერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მოინახულეს ყველა რაიონი, სადაც მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, ესაუბრნენ სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელებს, იმსჯელეს მათ მიერ დასმულ საჭირბოროტო საკითხებზე. ბატონმა პრემიერმა და მისმა მოადგილემ მკაცრად მოსთხოვეს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, პრობლემები დროულად აღმოფხვრან.

როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ონისა და ამბროლაურის რაიონებში და რა მდგომარეობაა დღეისათვის? სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო ბატონმა პრემიერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ვერ მოახერხეს მაღალმთიანი სოფლების დათვალიერება, სადაც შეიძლება რამდენიმე დღეში ჩამოთოვოს და გადაუხურავი ან სანახევროდ აშენებული სახლები თოვლით აივსოს. მაინც რატომ გაჭიანურდა მშენებლობა? ოქტომბრის თვეში საგრძნობლად იკლო მუშაობის ტემპმა. უსაქმოდ დარჩენილი მშენებლები კი საკუთარი ჯიბის გამორჩენისათვის კარდაკარ დადიან სამუშაოს ძებნაში. გაჭირვებული მოსახლეობაც იძულებულია ყველაფერი გაიღოს, რომ ცივ ზამთარში უსახლკაროდ არ დარჩეს. ამას ემატება ისიც, რომ ონის რაიონის სამშენებლო კომპლექსის (ხელმძღვანელი ავთანდილ ჩალაძე) 85 მილიონი მანეთის შესრულებული სამუშაოებისათვის ჩარიცხულია მხოლოდ 67 მილიონი. არ ხერხდება მუშახელის ხელფასებით დაკმაყოფილება, ბევრი მათგანი კი ასეული კილომეტრებითაა მოცილებული თავის სახლ-კარს და ცოლ-შვილს. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქ ონის სამშენებლო კომპლექსში (ხელმძღვანელი თამაზ ბერეკაშვილი) და ამბროლაურის რაიონში (კომპლექსის ხელმძღვანელი ნოდარ ხარაბაძე). მარტო სამუშაოს ანაზღაურებას რომ თავი დავანებოთ, მშენებლობისათვის აუცილებელია თანხა, რათა შეიძინონ სამშენებლო მასალები, რომლებიც ამ ბოლო დროს 100-200 პროცენტით გაძვირდა. ერთი ტონა ლითონი თუ 200-300 მანეთი ღირდა, ახლა 2000 მანეთია, ხის მასალა ერთი კუბომეტრი 200-დან 600 მანეთამდე გაძვირდა, ასევე 200 პროცენტითაა გაძვირებული თუნუქი. ზემოთ ჩამოთვლილიდან ყველა მასალა ჩვენს რესპუბლიკაში მზადდება და გადიდებულ ფასებში ვაწვდით ჩვენსავე ასაშენებელ დანგრეულ და გაჩანაგებულ რაიონებს, ნუთუ არ შეიძლება მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებს მაინც მივაწოდოთ სამშენებლო მასალები სახელმწიფო ფასებში?!

ალბათ, უზარმაზარ ხარჯებთან გვექნებოდა საქმე ზემოთ ჩამოთვლილ კომპლექსის ხელმძღვანელებს ადგილზე რომ არ აეშენებინათ: ბლოკის მოსაპრესი ქარხანა, რომელიც დღეში 8000 ცალს პრის, ოცდაერთი ბეტონის კვანძი (წარმადობა 2000 კუბური მეტრი), ქვის სამტვრევი, ქვიშის კარიერი, ხის დამამუშავებელი საამქრო, ჟანგბადის სადგური, ავტოტექმომსახურების სახელოსნოები. ეს ყველაფერი მზადდება ადგილზე პირველადი ფასებით.

ოქტომბრის თვეში შეწყდა ბენზინით მომარაგება, დამემოწმებიან ბატონები, რომლებიც იმ დღეს ონის რაიონში იმყოფებოდნენ, თუ როგორ ცდებოდა სატვირთო მანქანები ბენზინის კილომეტრიან რიგში და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში და კერძოდ თბილისში კომერციული მაღაზიებით გამრავლდა მოძრავი ავტოგასამართი სადგურები. საკითხავია, ნუთუ ყველას საქართველოს ფარგლებს გარედან შემოაქვს ბენზინი? თურმე ნავთობბაზები დაზარალებულ რაიონებს კომერციული ფასებით აწვდიან ბენზინს, პირდაპირ საოცარია, ესეც ხომ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გადის და განა შეიძლება მოგებაზე ფიქრიც კი, როცა მთელს საქართველოს უჭირს? ონში ყოფნისას კონცერნ „საქნავთობპროდუქტების“ თავმჯდომარემ ბატონმა გერმანე მეძმარიაშვილმა პრემიერს მოახსენა, რომ ეს საკითხი უახლოეს დღეებში მოგვარდება.

პრობლემაა ტრანსპორტიც, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად, ერთი მათგანი ემსახურება ადგილზე დამზადებული პროდუქციის გადატანას, მეორე კი — სამშენებლო მასალათა შემოზიდვას სხვადასხვა ბაზებიდან, საიდანაც მასალების ორგანიზებულად გატანა ვერ იქნა და ვერ მოგვარდა. ჩვენ დავათვალიერეთ რამდენიმე ბაზა, სადაც სხვადასხვა სახის საშენ მასალებს მოუყრიათ თავი, გამზიდი კი დღეში თითო-ოროლა მანქანა თუ შემოვა, გვეუბნებიან ბაზის თანამშრომლები. დანგრეულ რაიონებში ასაშენებელ სახლებთან დგას ამწეები, რომლებსაც დღეში ერთხელაც არ შეუძლიათ თავიანთი ტვირთ-ამწეობის ძალის შემოწმება. შემობრუნდება, ერთ-ორ პანელს გადმოსცლის და რამდენიმე დღე არხევს ცარიელ კაუჭებს ქარი, ყურთასმენის წამლებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მობინადრეს ახსენებს სადილი არ დაგვიგვიანოთო. პანელმზიდების პრობლემა მშენებლობის დაწყებიდანვე იდგა და იმ დღესაც დადებითი პასუხი ვერ გაგვცა ამ საკითხზე ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ბატონმა დავით ზუბიტაშვილმა. მშენებლები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ტრანსპორტის მუშაობის წესრიგში მოსაყვანად აუცილებელია ადგილზე იმყოფებოდნენ ყველა ავტოკოლონის ავტორიტეტული ხელმძღვანელები და მკაცრ კონტროლს უწევდნენ ტრანსპორტს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ დაზარალებულ რაიონებში ვაჭრობისა და კვების პროდუქტების მომარაგების საკითხი. მოსახლეობა განსაკუთრებით მოითხოვს შაქარს და სიგარეტს. სიგარეტი არ იყიდება მაღაზიებში, „პალიოტის“ ფასი კი გადამყიდველებთან 5 მანეთამდეა. ამ საკითხთან დაკავშირებით ამბროლაურის პრეფექტურაში ინფორმაცია გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა მამია ჟუმბურიძემ. მან მოიყვანა ციფრები რაიონში შემოტანილი პროდუქტებისა და აღნიშნა, რომ ზამთრისათვის სურსათ-სანოვაგით მომარაგება უფრო გაუმჯობესდება.

ამბროლაურის პრეფექტმა გოჩა ბიჭაშვილმა აღნიშნა, რომ რაიონს ბავშვებისათვის ჩაის დასალევი შაქარი არა აქვს, მაგრამ არსებობს გამოსავალი: ამბროლაურის საკონსერვო ქარხანაში არის შაქარი, რომელიც ქარხანას ჯერჯერობით არ სჭირდება და შეიძლება დროებით საბავშვო ბაღს და სკოლას მოვახმაროთ. ამაზე მ. ჟუმბურიძემ უპასუხა, რომ, თურმე ამის გაკეთება დიდ ბიუროკრატიულ საქმესთან არის დაკავშირებული და სჯობს რამდენიმე დღეში შემოვიტანოთო, კი მაგრამ, ხომ არ სჯობდა ჯერ ბავშვები დაგვეკმაყოფილებინა და შემდეგ ის რამოდენიმე დღეში შემოტანილი შაქარი საკონსერვოში შეგვეტანა.

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, მშენებლები ფარ-ხმალს არ ყრიან და მშენებლობის დაწყებიდან დღემდე შეუპოვრად იბრძვიან, მათ მართლაც შეუძლებელი შეძლეს, თავს არ დაზოგავს და უნდა ითქვას, რომ მიღწევებიც აქვთ.

კომპლექსის ხელმძღვანელებთან ადრე თუ განუწყვეტლივ მოდიოდა განაწყენებული ხალხი, ახლა ასეთი რამ იშვიათია. თუმცა ისინიც, ჩემი აზრით, არასწორ მოთხოვნებს აყენებენ: ითხოვენ ახლად აშენებულ სახლებზე გარეთ გამოსულ აივნებს. მართალია, აივნის გარეშე სახლი რა მოსაწონია, მაგრამ მოსახლეობის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ვაცალოთ მშენებლებს, ნუ შევუშლით ხელს, სხვა სახლების მშენებლობაც მიიყვანონ აივნებამდე და შემდეგ თვითონვე ეცდებიან გაალამაზონ სახლები აივნებით და მანსარდებით.

დღეისათვის ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ონის რაიონის სოფელ ჩორდსა და ბაჯიხევში, რაშიც მხოლოდ მშენებლებს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან იყო გეოლოგიური დასკვნა ამ სოფლების მთლიანად გადასახლებაზე, მაგრამ ზოგიერთი მოსახლე წინააღმდეგი წავიდა. სანამ ეს საკითხი მოგვარდებოდა, დრო გავიდა და მშენებლობას მოგვიანებით შეუდგნენ. თუმცა მშენებლები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ მუდმივ მაცხოვრებელს, ანუ მოზამთრეს, როგორც მათ უწოდებენ, მაინც არ დატოვებენ ღია ცის ქვეშ. ასევე არ დარჩება უბინაოდ არც ერთი ძირითადი მოსახლე ონისა და ამბროლაურის რაიონში, თუ დაეხმარებიან ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროები და უწყებები პრობლემების მოგვარებაში, თუ ექნებათ ფული, საწვავი, ტრანსპორტი და კვების პროდუქტები. ყველას, ვისაც დახმარების ხელი მიგვიწვდება, მხარში ამოვუდგეთ კომპლექსის ხელმძღვანელებს ავთანდილ ჩალაძეს, თამაზ ბერეკაშვილს და ნოდარ ხარაბაძეს, რომლებმაც პრობლემების მიუხედავად, მართლაც წარმოუდგენელ მაჩვენებლებს მიაღწიეს. ორივე რაიონში გაყვანილია 250 კმ სამანქანო გზა, დაიდგა ელექტროსადგური და გაყვანილია ელექტრო ხაზი, აღდგენილია სასმელი წყლის მაგისტრალი, აშენდა ბლოკის, ქვის სამტვრევი, ხის დამამუშავებელი, ბეტონის ჩამოსასხმელი და ასფალტის ქარხნები. ორივე რაიონში მიმდინარეობს სამუშაოები 5500 ინდივიდუალური და კომუნალური ბინის მშენებლობაზე, აქედან ნახევარზე მეტი უკვე ჩაბარებულია, რასაც ხელი შეუწყო ძველმა გადარჩენილმა სახურავებმა, დანარჩენებს კი ჩაბარებამდე სახურავი ნამდვილად სჭირდება.

თემურ ბურდილაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი.

შოთაობა იყალთოში

თავითვე აკი დაიბედა შოთაობას და, ალბათ, ეს სიმბოლურიც არის — რაგინდ ავდარიც უნდა მოეძალოს ღვინობისთვეს, ზეიმის დღეს, ალაზნის ველზე ცა იხსნება და მზე გამოდის. ასე იყო ამჯერადაც, 27 ოქტომბერს, როცა იყალთოს აკადემიის უძველეს ნაფუძარზე შოთა რუსთაველის ნიჭის თაყვანისმცემელნი შეიკრიბნენ. ოცდამერვე „შოთაობას“ ვზეიმობთ დღეს, — თქვა თავის გამოსვლაში იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მათირიშვილმა, მაგრამ დღევანდელი შეხვედრა მაინც განსაკუთრებულია — ერთი წელია, რაც ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა. იგი მოწოდებულია რუსთაველის ნაანდერძევი სიბრძნით წარუძღვეს ხალხს.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან აღნიშნა, რომ შოთაობა კეთილ სამსახურს უწევს პოეტის შემოქმედების ფართო პროპაგანდას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს გზა — ეს რუსთაველის გზაა. მისი რაინდული სულის მიყოლა, მიუხედავად იმპერიის მოციქულთა მცდელობისა, ჩვენს ქვეყანას თავისუფლებამდე მიიყვანს. რუსთაველის სიბრძნით უცხოვრია ქართველ ხალხს და ამ სიბრძნით გაიმარჯვებს იგი.

საქართველოს სულის განახლების გზაზე დგომისას ერთგვარი დასტური იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ზურაბ ფოლაქიშვილის მიერ მოწვდილი ცნობა, რომ ეროვნული ხელისუფლების შემწეობით გადაწყვეტილია მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ფაკულტეტის გახსნა.

იყალთოს ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარმა, მამა ზენონმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ხელი შეუწყო ეკლესიის და ღვთისმსახურების აღდგენას. მანვე ბიბლია გადასცა საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ნიშანი მომავალშიც ღვთის გზით სიარულისა.

სულ ახლახან თელავში გაიხსნა რიგით მესამე — სოციალური ინსტიტუტი, რომლის რექტორმა ბადურ გელაშვილმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ უმაღლესი სასწავლებელი მოემსახურება ძველი ქართული ფილოსოფიური და თეოლოგიური ცოდნის შესწავლა-განვითარებას. რუსთაველის მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, ქართული სულის აღდგენის გზაზე ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ჯემალ აფციაურმა, საკუთარი ლექსებით წარსდგნენ პოეტები ზინა სოლომნიშვილი და ვაჟა იგორისელი. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები წაიკითხეს პოემის ზეპირად მცოდნეებმა პოეტმა შოთა ხოდაშნელმა და ფარმაკოლოგმა სოკრატ სილაგაძემ.

მთელ ზეიმს ტკბილხმოვან ქარგად მიჰყვებოდა თელავის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები.

ზეიმის შემდეგ ბატონი ზვიად გამსახურდია ეწვია ალავერდის ტაძარს, გაეცნო აქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს; სოფელ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიაში მოინახულა ალექსანდრე სულხანიშვილის საფლავი.

ზურაბ არსენიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

თბილისის საკრებულოს პირველი სესია

29 ოქტომბერს გაიმართა ქალაქ თბილისის საკრებულოს პირველი სესია. სესია გახსნა ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების თბილისის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნინო დოლიძემ.

სესიის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: საკრებულოს სამანდატო კომისიის არჩევა, ქალაქ თბილისის საკრებულოს სამანდატო კომისიის მოხსენების საფუძველზე დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა, ქ. თბილისის საკრებულოს მდივნის და მდივნის მოადგილის არჩევა.

სესიამ აირჩია სამანდატო კომისია. დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ კობაიძემ.

გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს მდივნის არჩევნები. ამ თანამდებობაზე დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით აირჩიეს დეპუტატი ჯემალ სილაგაძე. საკრებულოს მდივნის მოადგილედ სესიამ აირჩია ბატონი სულიკო ფალავანდიშვილი.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა რობერტ პეტრიაშვილმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა თამაზ ვაშაძემ.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის

განცხადება

ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საყურადღებოდ

ფასიანი სასწავლებლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილების მიხედვით ფასიან უმაღლეს სასწავლებლებს არა აქვთ უფლება შექმნან ფილიალები და გახსნან მოსამზადებელი განყოფილებები. როგორც პრესაში გამოქვეყნებული განცხადებებიდან ჩანს ზოგიერთი ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი არღვევს დებულებას. კომისია ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებისაგან მოითხოვს მკაცრად დაიცვან რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება და იმოქმედონ განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაციის შესახებ

ზოგადი დებულებანი

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების (შემდგომში კოოპერატივების) ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ პირობებს.

კანონმა უნდა დააჩქაროს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს სამეურნეო ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი, შექმნას მოსახლეობის ფართო ფენების კოოპერატივში ჩაბმის პირობები. მისი მიზანია კოოპერაციული მოძრაობის ყოველმხრივი გამოყენება სურსათზე, სახალხო მოხმარების საქონელზე, ბინაზე, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სხვადასხვაგვარ პროდუქციაზე, სამუშაოებსა და სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. კანონი ადგენს კოოპერაციული დემოკრატიის განვითარების ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთობას, უზრუნველყოფს კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის ფორმათა თავისუფალ არჩევას, სახავს ინიციატივისა და თვითმმართველობის ფართო ასპარეზს, ზრდის კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობას თავიანთი შრომის შედეგებისათვის.

კანონი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან თავისუფალი გამოსვლის, კოოპერატივის ყველა საქმის მართვაში მონაწილეობის უფლებას; კოლექტიური მეურნეობრიობის დამოუკიდებლობას და საწესდებო ამოცანათა შესრულებისათვის გადაწყვეტილებათა მიღებაში კოოპერატივის დამოუკიდებლობას; სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას, შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისი პირადი შემოსავლისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებას.

კარი I

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაცია და მისი ადგილი რესპუბლიკის ეკონომიკაში

მუხლი 1. კოოპერაცია საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში

კოოპერაცია — ლათინური სიტყვაა და თანამშრომლობას ნიშნავს. წარმოების ეს ფორმა დამახასიათებელია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის

კოოპერაცია, კოოპერატივის წევრებს აძლევს რეალურ შესაძლებლობებს და მატერიალურად აინტერესებს მათ, გაადიდონ მეურნეობრიობის ეფექტიანობა. საქონლის წარმოების, გაყიდვის, განაწილების, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევის და სხვა სახეობათა საქმიანობის განხორციელება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

მუხლი 2. კანონმდებლობა კოოპერაციის შესახებ

კოოპერატივების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არეგულირებენ ეს კანონი, კანონი მეწარმეობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონები და კანონქვემდებარე სხვა ნორმატიული აქტები. აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სხვა ნორმატიული აქტები, რომელიც ზემოაღნიშნული კანონებიდან გამომდინარე გამოიცემა.

მუხლი 3. წარმოებისა და მომსახურების კოოპერაციის სისტემა

კოოპერაციის მოძრაობის თანამიმდევრული განვითარება კოოპერაციას გადააქცევს ფართოდ განშტოებულ სისტემად, რაც ორგანულად არის დაკავშირებული ეკონომიკის სახელმწიფო სექტორთან და მოსახლეობის ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასთან.

კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებაში, ფასიანი მომსახურების სფეროსა და წარმოების და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა დარგებში.

კოოპერატივებს უფლება აქვთ მისდიონ ყოველი სახეობის საქმიანობას, საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით აკრძალულის გარდა.

კარი II

კოოპერატივი წარმოებისა და მომსახურების კოოპერაციის პირველადი რგოლია

მუხლი 4. კოოპერატივი

1. კოოპერატივი არის მოქალაქეთა ორგანიზაცია, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან წევრობის საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო და სხვა საქმიანობისათვის საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი იჯარით აღებული ან უფასო სარგებლობისათვის, მოცემული ქონების, დამოუკიდებლობისა და თვითდაფინანსებისა, აგრეთვე კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესებისა და კოლექტივის და საზოგადოების ინტერესებთან მათი ინტერესების უფრო სრული შეხამების ბაზაზე.

2. კოოპერატივი, როგორც რესპუბლიკის კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

3. ამ კანონით განსაზღვრულ ამოცანათა და უფლებამოსილებათა განხორციელების ინტერესებისათვის კოოპერატივს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუკი ის არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და კოოპერატივის წესდებას. კოოპერატივი არის იურიდიული პირი, სარგებლობს უფლებებით და ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

4. კოოპერატივის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვეგანაყოფები (მათ შორის ტერიტორიულად განკერძოებულები) განყოფილებანი, საამქროები, ფერმები, სახელოსნოები, ატელიები, მაღაზიები და სხვები, რომლებიც მოქმედებენ როგორც წესი, ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის საწყისებზე, მათ შორის ქონების არენდით. კოოპერატივს უფლება აქვს გახსნას თავისი ფილიალები (განყოფილებები) და წარმომადგენლობები. კოოპერატივების ფილიალების (განყოფილებების) რეგისტრაცია წარმოებს კოოპერატივების რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული წესით ამ ფილიალების (განყოფილებების) ადგილმდებარეობის მიხედვით.

მუხლი 5. კოოპერატივის შრომითი კოლექტივი

1. კოოპერატივის წევრები, რომლებიც თავიანთი შრომით მონაწილეობენ მის საქმიანობაში, აგრეთვე პირნი, რომლებიც კოოპერატივში მუშაობენ შრომითი ხელშეკრულებით, შეადგენენ კოოპერატივის შრომით კოლექტივს.

2. სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კოოპერატივის საქმიანობას ეხება, ამუშავებენ და იღებენ მისი მმართველობის ორგანოები შრომითი კოლექტივის მონაწილეობით.

მუხლი 6. კოოპერატივის საკუთრება

1. კოოპერატივის საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდება. კოოპერატივს შეიძლება ეკუთვნოდეს შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი წარმოებული პროდუქცია, საქონელი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება მისი საქმიანობის მიზნების შესაბამისად.

2. კოოპერატივის ქონება ყალიბდება მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან შემოსულობებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე. კოოპერატივის ქონების ფორმირებაში ფულადი და მატერიალური შენატანების გზით სახელშეკრულებო საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს (ორგანიზაციებს), აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან მოცემული კოოპერატივის წევრები, მაგრამ მასში შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ.

3. კოოპერატივის საკუთრება არის მის მიერ შექმნილი საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება მისი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

გაერთიანებათა ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოოპერატივები, სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, არის სახელმწიფოს, კოოპერატივებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო საკუთრება.

კავშირის (გაერთიანებების) ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან მხოლოდ კოოპერატივები, საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნიან ამ კოოპერატივებს, ანდა შეიძლება იყოს კავშირის (გაერთიანების) საკუთრება.

4. კოოპერატივი, როგორც საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი, აგრეთვე მის სარგებლობაში არსებული ქონების სრულუფლებიანი ბატონპატრონი, მოვალეა ამრავლოს იგი, ეფექტიანად გამოიყენოს და დაიცვას. არავის არა აქვს უფლება გამოიყენოთ კოოპერაციული საკუთრება უკანონო შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის.

მუხლი 7. კოოპერატივის საკუთრების სამართლებრივი დაცვა

1. კოოპერაციული საკუთრება, როგორც ჯგუფური საკუთრების ფორმა, ხელშეუხებელია და მას სახელმწიფო იცავს. მას იცავს კანონი სახელმწიფო საკუთრების თანაბრად. კოოპერატივის ქონება შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მათი კომპეტენციის შესაბამისად.

2. ქონების განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ თვით კოოპერატივს. არ შეიძლება კოოპერატივის ქონების გამოყენება მიზნებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის საწესდებო საქმიანობასთან.

3. კოოპერატივს უფლება აქვს:

— მიჰყიდოს და გადასცეს სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, გაუცვალოს, მისცეს იჯარით, სესხად და დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ გადასცეს შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი. აგრეთვე ბალანსიდან ჩამოწეროს ძირითადი ფონდები, თუ ისინი გაცვდა ან მორალურად მოძველდა.

გადასცეს სახელშეკრულებო საწყისებზე მატერიალური და ფულადი რესურსები სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ან ასრულებენ კოოპერატივისათვის სამუშაოებსა და მომსახურებას.

4. კოოპერატივს ეკისრება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა გამო მისი კუთვნილი ქონების, მათ შორის ძირითადი საშუალებებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებათა გამო. კოოპერატივი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს და თავისი წევრების ვალდებულებათა გამო. კოოპერატივის წევრები პასუხს არ აგებენ მისი ვალების გამო, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიების სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 8. კოოპერატივების მიერ ბუნებრივი რესურსებისა და ქონების გამოყენება, რომელიც მისი საკუთრება არ არის

1. მიწებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით კოოპერატივი სარგებლობს საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. კოოპერატივი პასუხს აგებს მისთვის სარგებლობაში გადაცემული მიწების, წყლების, წიაღის, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიური პირობების დაცვის მოთხოვნების შესრულებისათვის.

2. კოოპერატივი მოვალეა უზრუნველყოს მიწის ეფექტიანი გამოყენება, მუდმივად იზრუნოს მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის, მომჭირნედ ისარგებლოს მიწით იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც მიეცა იგი, დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან და ამასთან დაკავშირებით განახორციელოს წარმოების ორგანიზაცია მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგების ბაზაზე.

კოოპერატივი საკუთარი სახსრების და კრედიტების ხარჯზე ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს, უზრუნველყოფს გარემოზე წარმოების უარყოფითი ზემოქმედების კომპენსაციას. ცალკეულ შემთხვევაში დაშვებულია ასეთი ღონისძიებების დაფინანსება ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.

კოოპერატივის საქმიანობა, რომელიც უხეშად არღვევს ბუნებათსარგებლობის დადგენილ რეჟიმს, აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შეჩერდეს, სანამ არ აღმოფხვრის დაშვებულ დარღვევებს.

მუხლი 9. კოოპერატივის საქმიანობის პრინციპები

1. კოოპერატივის საქმიანობას საფუძვლად უდევს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან დაუბრკოლებელი გამოსვლის, პირადი, კოლექტიური და სახელმწიფო ინტერესების შეხამების, სამეურნეო დამოუკიდებლობის, მატერიალური დაინტერესების და სოციალური სამართლიანობის, კოოპერატივის წევრთა კოოპერაციული დემოკრატიის, კანონიერების საფუძველზე მის საქმეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის პრინციპები.

2. კოოპერატივების სამეურნეო თუ სხვა საქმიანობაში ამ და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით ჩარევა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოების მხრიდან არ დაიშვება. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანო გამოსცემს ნორმატიულ აქტს, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას ან არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს და კოოპერატივი მისი შესრულების გამო დაზარალდება, კოოპერატივს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს განცხადებით ასეთი აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე და ზარალის ანაზღაურებისათვის.

3. საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, საქონლის (სამუშაოები, მომსახურება) წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნით კოოპერატივებს ნებაყოფლობით საწყისებზე შეუძლიათ თავიანთი სახსრების ნაწილი გააერთიანონ სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებთან, ე. ი. შექმნან საიჯარო მეურნეობები.

კოოპერატივებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ:

საწარმოთა და წარმოებათა რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ განახლებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივ შესრულებაში;

დარგთაშორის წარმოებების, სარემონტო-სამშენებლო, სავაჭრო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნაში;

სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, აგრეთვე საგზაო მშენებლობაში;

სპეციალისტთა მომზადებაში და სასწავლო-სამრეწველო საწარმოების შექმნაში.

აღნიშნული და სხვა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად კოოპერატივები დებენ ხელშეკრულებებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

„კოოპერატივებს სხვა საწარმოებთან ერთად უფლება აქვთ ნებაყოფლობით საწყისებზე შედიოდნენ ასოციაციებში, კონცერნებში, კონსორციუმებსა და სხვა გაერთიანებებში". პრეფექტურები და სხვა სახელმწიფო ორგანოები კოოპერატივებს ეხმარებიან ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარებაში, ხელს უწყობენ მათ ამ დარგში მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში.

მუხლი 10. კოოპერატივის შექმნა და მისი წესდება

1. კოოპერატივი იქმნება მოქალაქეთა სურვილით ნებაყოფლობით საწყისებზე. კოოპერატივის წევრთა რიცხვი არ შეიძლება სამ კაცზე ნაკლები იყოს.

კოოპერატივი იქმნება და მოქმედებს დამოუკიდებლად. სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, კოოპერატივი ურთიერთობებს ახორციელებს მხოლოდ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. კოოპერატივის წესდებას იღებს მოქალაქეთა საერთო კრება, რომლებსაც სურთ კოოპერატივის დაფუძნება.

კოოპერატივის წესდებაში განისაზღვრება: კოოპერატივის დასახელება, მისი ადგილსამყოფელი, საქმიანობის საგანი და მიზნები, კოოპერატივში შესვლისა და იქიდან გამოსვლის წესი, კოოპერატივის წევრთა უფლებები და მოვალეობანი, მისი მმართველობისა და კონტროლის ორგანოები, მათი კომპეტენცია, კოოპერატივის ქონების შექმნისა და შემოსავლის (მოგების) განაწილების წესი, კოოპერატივიდან გარიცხვის საფუძველი და წესი, კოოპერატივის რეორგანიზაციისა და საქმიანობის შეწყვეტის პირობები. წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს კოოპერატივის საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებები, რომლებიც კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებიან.

3. კოოპერატივი შექმნილად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

კოოპერატივს რეგისტრაციაში ატარებს რაიონული და საქალაქო პრეფექტურები. კოოპერატორთა რაიონული და საქალაქო გაერთიანებათა წარდგინებით.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის კოოპერატივმა უნდა წარადგინოს წესდება და სხვა დოკუმენტები, რომელთა ნუსხას ადგენენ საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთი ან სხვა ბუნებრივი რესურსები, მის რეგისტრაციაში გასატარებლად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს, მიწათმფლობელის, მიწათმოსარგებლისა ან სხვა ბუნებრივი რესურსების პირველადი მოსარგებლის თანხმობა მათ მიცემაზე.

4. კოოპერატივის სახელმწიფო რეგისტრაცია უნდა მოხდეს არაუგვიანეს 30 დღისა პრეფექტურაში განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების შეტანის მომენტიდან.

სახელმწიფო რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას იმასთან დაკავშირებით, თუ დარღვეულია კოოპერატივის შექმნის დადგენილი წესი, მისი წესდება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, აგრეთვე თუ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივის წესდებაში გათვალისწინებული არ არის კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობა კოოპერატივის ვალებისათვის. მიზანშეუწონლობის მოტივით კოოპერატივის რეგისტრაციაზე უარის თქმა არ დაიშვება.

თუ სახელმწიფო რეგისტრაცია დადგენილ ვადაში არ განხორციელდა ან მასზე უარი უთხრეს, განმცხადებელს შეუძლია საჩივრით მიმართოს სასამართლოს.

კოოპერატივი სახელმწიფო რეგისტრაციისათვის იხდის საფასურს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. მიღებული სახსრები ირიცხება რაიონსა და ქალაქის ბიუჯეტში კოოპერატივის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

5. კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მის წესდებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები უნდა შეუთანხმდეს პრეფექტურებს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივი, კოოპერატივების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული წესითა და ვადებში .

მუხლი 11. კოოპერატივის წევრობა

1. კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი მოქალაქე.

კოოპერატივის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა კოოპერატივები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები, კოოპერატივებისა და მათი კოლექტიური წევრების ურთიერთობა მყარდება სახელშეკრულებო საწყისებზე.

2. მოქალაქეს უფლება აქვს იყოს სხვადასხვა სახეობის რამდენიმე კოოპერატივის წევრი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ამავე დროს ერთი სახეობის ორზე მეტი კოოპერატივის წევრი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

3. წევრთა ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილ საქმეთა გამო დავას წყვეტენ კოოპერატივის ორგანოები მისი წესდებით განსაზღვრული წესით, ხოლო რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სასამართლო.

4. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან მისი საერთო კრების გადაწყვეტილებით წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კრებაზე ხმების თანაბარი ოდენობის პირობებში, გადამწყვეტია ის მხარე, საითაც ხმა მისცა კოოპერატივის თავმჯდომარემ.

კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. პირები, რომლებსაც სასამართლომ აუკრძალა გარკვეული საქმიანობა ან გარკვეული თანამდებობათა დაკავება, არ შეიძლება იყვნენ შესაბამისი სახეობის საქმიანობის კოოპერატივის წევრები, მონაწილეობდნენ მის მუშაობაში შრომითი ხელშეკრულებით ან ეკავოთ კოოპერატივში შესაბამისი თანამდებობა.

პირები, რომლებიც ნასამართლევი არიან დატაცების, მექრთამეობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობებისათვის, არ შეიძლება არჩეულ იქნენ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ ან წევრად, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ან წევრად (რევიზორად), აგრეთვე დაიკავონ სხვა ხელმძღვანელი პოსტები და მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული თანამდებობანი.

მუხლი 12. კოოპერატივის წევრთა უფლებები და მოვალეობანი

1. კოოპერატივის წევრებს აქვთ უფლება;

მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმიანობასა და მის საქმეთა მართვაში, აირჩიონ და იყვნენ არჩეული კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოებში, შეიტანონ წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ;

მიიღონ იმ შემოსავლის (მოგების) ნაწილი, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის უნდა განაწილდეს შრომითი წვლილის შესაბამისად, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე კოოპერატივში ქონებრივი შენატანის შესაბამისად;

ისარგებლონ კოოპერატივის ქონებით, კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული შეღავათებითა და უპირატესობით;

მიიღონ კოოპერატივის თანამდებობრივ პირთაგან ინფორმაცია ყოველ საკითხზე, რომელიც მის საქმიანობას ეხება.

საწარმოო კოოპერატივის წევრებს, გარდა ამისა, უფლება აქვთ:

მიიღონ სამუშაო კოოპერატივში, მათ შორის ის უფლება, რომ აირჩიონ პროფესია და საქმიანობის სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და კოოპერატივის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით:

ისარგებლონ დასვენებით, ყოველწლიური ფასიანი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობა შესაბამის კატეგორიათა მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებულზე ნაკლები არ უნდა იყოს;

სოციალური დაზღვევითა და სოციალური უზრუნველყოფით;

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებით კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი წესით.

2. კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან:

დაიცვან კოოპერატივის წესდება და შეასრულონ კოოპერატივის საერთო კრების, მართვისა და კონტროლის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებანი;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმეთა მართვაში;

გამოიყენონ შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები კოოპერატივში. პასუხი აგონ თავიანთი მუშაობის შედეგებისათვის, დაიცვან საწარმოო და შრომის დისციპლინა, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესები, აიმაღლონ კვალიფიკაცია;

რაციონალურად გამოიყენონ და გაუფრთხილდნენ კოოპერატივისათვის გადაცემულ ბუნებრივ რესურსებს.

მუხლი 13. კოოპერატივის მართვა

1. კოოპერატივის მართვა ხორციელდება თვითმმართველობის, ფართო დემოკრატიის, საჯაროობის, კოოპერატივის საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

2. კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მიმდინარე საქმეების ხელმძღვანელობისათვის ირჩევს თავმჯდომარეს, დიდ კოოპერატივებში კი აგრეთვე გამგეობას. კოოპერატივის თითოეულ წევრს, მათ შორის კოლექტიურს, აქვს ერთი ხმა მისი ქონებრივი შენატანის ოდენობის მიუხედავად.

კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქენი საერთო კრებაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

3. საერთო კრება:

იღებს კოოპერატივის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს, კოოპერატივის გამგეობასა და სარევიზიო კომისიას (რევიზორს), ისმენს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღების, კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხებს, აგრეთვე კოოპერატივიდან გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იღებს და ცვლის კოოპერატივის შინაგანაწესს, შრომის ანაზღაურების, ქონებისათვის მიყენებული ზარალის გამო მატერიალური პასუხისმგებლობის დებულებებს, კოოპერატივის სხვა შინაგან აქტებს;

განსაზღვრავს კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული შესასვლელი და საპაიო შენატანების ოდენობას;

ადგენს შემოსავლის (მოგების) განაწილების წესს, კოოპერატივის ფონდებისა და რეზერვების გამოყენების ოდენობასა და მიმართულებებს, წყვეტს ფასწარმოქმნის საკითხებს;

წყვეტს კოოპერატივის საქმიანობის რეორგანიზაციისა და შეწყვეტის საკითხებს.

გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციას. კოოპერატივის წესდების შესაბამისად ან საერთო კრების გადაწყვეტილებით მის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეიძლება განეკუთვნოს კოოპერატივის ორგანიზაციული, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა საკითხებიც.

დიდ კოოპერატივებში საერთო კრების გამგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის შეიძლება რწმუნებულთა კრების მოწვევა.

4. კოოპერატივის გამგეობა (თავმჯდომარე კოოპერატივისა, რომელშიც გამგეობა არ არის) ახორციელებს ხელმძღვანელობას კოოპერატივის მიმდინარე საქმეებისადმი და იღებს გადაწყვეტილებებს საკითხებზე, რომლებიც არ განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) კომპეტენციას. გამგეობის თავმჯდომარე არის კოოპერატივის თავმჯდომარე.

კოოპერატივის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კოოპერატივს სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და სხვა კოოპერატივებთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს, ახორციელებს სხვა მოქმედებას.

სარევიზიო კომისია (რევიზორი) ამოწმებს გამგეობის ფინანსურ და სამეურნეო საქმიანობას.

მუხლი 14. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და საჯარიმო სანქციები

1. კოოპერატივის რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) წარმოებს კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2. კოოპერატივის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს აგრეთვე პრეფექტურის გადაწყვეტილებით, რომელმაც კოოპერატივი რეგისტრაციაში გაატარა, იმ შემთხვევებში:

ა) თუ კოოპერატივს რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის ვადაში არ დაუწყია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა ან არ განუახლებია ფაქტობრივად შეწყვეტილი საქმიანობა ერთი წლის გასვლიდან შემოსავლის შესახებ უკანასკნელი დეკლარაციის მიცემის შემდეგ;

ბ) კოოპერატივის ხანგრძლივი (ექვს თვეზე მეტი) გადახდისუუნარობის დროს;

გ) თუ კოოპერატივის რეგისტრაციაში გამტარებელი პრეფექტურის მიერ გამოტანილი გაფრთხილების მიუხედავად კოოპერატივი უხეშად არღვევს კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს კოოპერატივის საქმიანობას, საფინანსო დისციპლინას, საგარეოსავაჭრო ოპერაციების განხორციელების დადგენილ წესსა. თუ ამ კოოპერატივის წესდებას.

პრეფექტურის გადაწყვეტილება კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში კოოპერატივისათვის მისი გადაცემის დღიდან. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის აღნიშნული ვადის გასვლისას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა იგი გასაჩივრებულია — სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ;

3. კოოპერატიული საკომისიო და კომერციული მაღაზიების საქმიანობის შეწყვეტას ახდენს პრეფექტურები იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში შემმოწმებელი ორგანოების მიერ 3-ჯერ იქნა აღმოჩენილი გაუფორმებელი ევრეთწოდებული მარცხენა საქონელი, ან გაფორმებულზე ზევით ფასების გამოცხადება; ამასთან პირველ შემთხვევაში ხდება ამ საქონლის კონფისკაცია, მისი სრული ღირებულებით; მეორე შემთხვევაში კონფისკაცია გაორმაგებული ფასით და ა. შ. — ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს ბიუჯეტთან, ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის.

მუხლი 15. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი)

1. კოოპერატიული მოძრაობის სწორი კოორდინაციის მიზნით კოოპერატივები ერთიანდებიან ტერიტორიალური და დარგობრივი ნიშნის მიხედვით, რაიონულ, საქალაქო და ავტონომიურ რესპუბლიკათა გაერთიანებებში, ასოციაციებში, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკურ კავშირს. ამასთან ეს გაერთიანებები და კავშირები იქმნება ნებაყოფლობით საწყისებზე.

2. კოოპერატივების კავშირების, ასოციაციების (გაერთიანებების) ძირითადი ამოცანებია:

განავითარონ კოოპერაციული დემოკრატია, კოლექტიურად განიხილონ კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, განაზოგადონ გამოცდილება და შეიმუშაონ რეკომენდაციები არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენების შესახებ, გაუწიონ პროპაგანდა კოოპერაციულ მოძრაობას;

ხელი შეუწყონ კოოპერატივებს საწარმოო პროცესების განხორციელებაში.

შეისწავლონ იმ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბაზრის მდგომარეობა და პერსპექტივები, რომლის წარმოებასა და გაყიდვაზე დასპეციალებული არიან კოოპერატივები;

უზრუნველყონ კოოპერატივების უფლებების დაცვა და გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება. წარმოადგინონ მათი ინტერესები შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

დაეხმარონ კოოპერატივებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაში, მათი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეკლამაში, კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

3. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებები) მოქმედებენ კოოპერატივთა ყრილობების, დელეგატთა (რწმუნებულთა) კრებების მიერ მიღებული წესდებების საფუძველზე; კოოპერატივთა კავშირი (გაერთიანება) ითვლება შექმნილად, აღიარებულია იურიდიულ პირად და შეუძლია განახორციელოს სამეურნეო და სხვა საქმიანობა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

4. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებები) იქმნება კოოპერატორთა კონფერენციებზე და ყრილობებზე.

კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ ჰქონდეთ ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ თავიანთი საწესდებო ამოცანების შესრულებისა და სხვა სახეობათა საქმიანობის განხორციელებისათვის.

კავშირების (გაერთიანებების) და მათი მართვის აპარატების შენახვის ხარჯები ხორციელდება შესაბამისი კოოპერატივების შემოსავლების ანარიცხების ხარჯზე, აგრეთვე ამ კავშირების (გაერთიანებების) სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

კარი III

კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკური საფუძვლები

მუხლი 16. კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლები

1. კოოპერაციის საქმიანობა იგება სამეურნეო ანგარიშიანობისა და თვითდაფინანსების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. ამასთან, პროდუქტის წარმოებისა და წარმოებული პროდუქტის, აგრეთვე შემოსავლის განაწილების კოოპერაციული ფორმა განაპირობებს კოოპერაციაში სამეურნეო მექანიზმის თავისებურებებს: ფასწარმოქმნაში, შრომის ანაზღაურებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან ურთიერთობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. საწარმოო კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი ჯგუფური საქონელმწარმოებელია. მოქმედებს რა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, იგი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებას, წარმოების მოცულობასა და სტრუქტურას, ახორციელებს მის დაგეგმვას, ორგანიზაციას, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციას.

კოოპერატივს უფლება არა აქვს განახორციელოს საქმიანობა, თუ იგი არ შეესაბამება მისი წესდებით გათვალისწინებულ საგანსა და მიზნებს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — გაცემულ ლიცენზიებსაც.

კოოპერატივს აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში და დანახარჯებს ფარავს კოოპერატივის წევრთა შესატანებისა და მისი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

3. კოოპერატივის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან — მისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებლებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან ხორციელდება მხოლოდ სახელშეკრულებო საწყისებზე. მართვის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა კოოპერატივებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-განხორციელებაში დაუშვებელია.

მუხლი 17. ფასები და ფასწარმოქმნა

1. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასები და ტარიფები უნდა ასახავდნენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საზოგადოებრივად საჭირო ხარჯებს, ითვალისწინებდნენ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) სამომხმარებლო თვისებებსა და ხარისხს, მომხმარებელთა მოთხოვნას.

2. კოოპერატივი ასაღებს საკუთარი წარმოების პროდუქციასა და საქონელს, ასრულებს სამუშაოებს და ეწევა მომსახურებას იმ ფასებით, და ტარიფებით, რომლებსაც კოოპერატივი აწესებს მომხმარებლებთან მორიგებით ან დამოუკიდებლად.

3. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად სახელმწიფო ფასებით მიწოდებული ნედლეულისაგან დამზადებულ პროდუქციას (სამუშაოს, მომსახურებას) კოოპერატივები რეალიზაციას უკეთებენ ცენტრალიზებულად განსაზღვრული ფასებით (ტარიფებით), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებადართულია სახელმწიფო საწარმოებისათვის — სახელშეკრულებო ფასებით (ტარიფებით).

მუხლი 18. შემოსავალი და მისი განაწილება

1. კოოპერატივი თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით თვითანაზღაურებად საწარმოს (ორგანიზაციას) წარმოადგენს. ზარალიანი მუშაობა შეუთავსებელია მის არსთან.

კოოპერატივის შემოსავალი ყალიბდება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისაგან მიღებული მოგებით, ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობით მიღებული თანხების, აქციების, დივიდენდებისა და სხვა შემოსულობათა ხარჯზე.

საწარმოო-სოციალური განვითარებისათვის, აგრეთვე შრომის ანაზღაურებისათვის მთლიანი შემოსავლის განაწილება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების უფლებაა.

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივებში იქმნება სადაზღვევო (სარეზერვო) ფონდი ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორების შემდეგ მათ განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ ხუთი პროცენტის ოდენობით. ყოველწლიური ანარიცხები სადაზღვევო (სარეზერვო) ფონდში წარმოებს გასულ წელს შექმნილი ამ ფონდის სახსრების ნაშთის ჩათვლით.

მუხლი 19. კოოპერატივებში შემოსავლის დაბეგვრა

1. კოოპერატივი მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში გადასახადების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების გადახდის მეშვეობით. დაბეგვრა სწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სისტემის შესახებ კანონის შესაბამისად.

2. კოოპერატივის წევრებისა და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების შემოსავლის გადასახადები მთლიანად შეიტანება ადგილობრივ ბიუჯეტებში და გამოიყენება შესაბამის ტერიტორიათა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

მუხლი 20. კოოპერატივის ფინანსები

1. კოოპერატივის ფინანსური რესურსები იქმნება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ამონაგების, საამორტიზაციო ანარიცხების, კოოპერატივის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა, სხვა საწარმოო-ორგანიზაციათა, შრომითი ხელშეკრულებით კოოპერატივში მომუშავე პირთა საპაიო და სხვა შენატანების ხარჯზე, აგრეთვე კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების (აქციების) გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრების ხარჯზე.

2. კოოპერატივი საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის იყენებს მის განკარგულებაში არსებულ ფინანსურ რესურსებს თავის შეხედულებისამებრ შეუზღუდავად, მათი შექმნის წყაროების მიუხედავად.

სახელმწიფოს, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს კოოპერატივს შეუძლია საჭირო შემთხვევაში გამოუყოს ბიუჯეტის სახსრები საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების კაპიტალური დანიშნულების ობიექტების კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების დაბრუნების პირობით.

3. კოოპერატივს მყარი ფინანსური მდგომარეობის შექმნისა და სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, შეუძლია დააზღვიოს თავისი ქონება, დაზღვევა ხდება ნებაყოფლობით კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

4. კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ გამოუშვან აქციები კოოპერატივების წევრების და შრომითი ხელშეკრულებით კოოპერატივში მომუშავე პირებისა და საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის) მისაყიდად.

აქციებს უშვებს კოოპერატივი ან კოოპერატივების კავშირი (გაერთიანება) განსაზღვრული წესით და უზრუნველყოფს მთელი თავისი ქონებით. აქციების საერთო ღირებულება, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი წლიური შემოსავლის ოდენობას.

აქციების შეძენის უპირატესი უფლებით სარგებლობენ კოოპერატივის წევრები.

კოოპერატივი ან კოოპერატივების კავშირი (გაერთიანება) აწესებს აქციების მიმოქცევის მთელი პერიოდისათვის უცვლელ მათ ნომინალურ ღირებულებას და აქციებზე წლიური შემოსავლის გაცემის წესს.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია აქციების გამოშვებასთან და მიმოქცევასთან.

მუხლი 21. კრედიტი და ანგარიშსწორება

1. კოოპერატივს მისი საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად ბანკს შეუძლია მისცეს კრედიტი.

კოოპერატივს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს ბანკი საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის.

2. კოოპერატივი თავის ფულად სახსრებს ინახავს ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე.

ბანკები ახორციელებენ კოოპერატივის საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურებას, საჭირო დახმარებას უწევენ მას ფულადი მეურნეობის გაძღოლის ორგანიზაციაში.

კოოპერატივი აწარმოებს ანგარიშსწორებას თავისი ვალდებულებებით სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან უნაღდო წესით ბანკების დაწესებულებათა მეშვეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ხოლო მოქალაქეებთან — როგორც უნაღდო წესით, ისე ნაღდი ფულით.

3. კოოპერატივების ყველა სხვა ურთიერთობები ბანკებთან რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონით ბანკების შესახებ.

4. კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ მათში შემავალი კოოპერატივების თანხმობით და მონაწილეობით შექმნან კომერციული ბანკები საფინანსო-საანგარიშსწორებო ცენტრები, ფონდები და სხვა.

5. საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს შეუძლია თავისუფალი ფულადი სახსრების ნაწილი დააბანდოს სახელმწიფო სესხების ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, რომლებიც ბრუნვაში გამოდის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გავრცელებისათვის, შეძენილი ობლიგაციებისა და ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული შემოსავალი გადადის კოოპერატივის განკარგულებაში.

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაციის შესახებ

(დასასრული)

მუხლი 22. კოოპერატივის სოციალური განვითარება

1. კოოპერატივი ეწევა აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას. მისი სოციალური განვითარების საკითხებს წყვეტს საერთო კრება. კოოპერატივი იჩენს მზრუნველობას თავისი წევრების, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების, მათი ოჯახების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე უწევს მათ ყოველმხრივ დახმარებას კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, აძლევს სესხს ამ მიზნით. განსაკუთრებით ზრუნავს კოოპერატივი შრომისა და ომის ვეტერანებისათვის.

2. კოოპერატივი საკუთარი სახსრების ხარჯზე ახორციელებს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას, წილობრივ მონაწილეობას იღებს მათ მშენებლობაში, აგრეთვე შეუძლია იჯარით აიღოს ან შეიძინოს ასეთი ობიექტები.

3. თავის სოციალურ საქმიანობას კოოპერატივი ეწევა ადგილობრივ პრეფექტურებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოსთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

მუხლი 23. შრომა და მისი ანაზღაურება

1. კოოპერატივში შრომას და სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა შრომას თანაბარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

კოოპერატივის წევრთა შრომითი ურთიერთობას არეგულირებს ეს კანონი და კოოპერატივების წესდებანი, ხოლო კოოპერატივებში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებისას — საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობა ამ კანონით დაწესებულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. კოოპერატივი დამოუკიდებლად განსაზღვრავს კოოპერატივის წევრთა და სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს. შრომის ანაზღაურება კოოპერატივში შეიძლება როგორც ფულით, ისე ნატურითაც. შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება იგება, როგორც წესი, კოლექტიური, ოჯახური ან ინდივიდუალური იჯარის პრინციპებზე მუშაობის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით. კოოპერატივის წევრთა ინდივიდუალური ხელფასი განისაზღვრება მათი შრომითი წვლილით და მისი მთლიანი შემოსავლის იმ ნაწილის ოდენობით, რომელიც ხმარდება შრომის ანაზღაურებას.

კოოპერატივში მომუშავე მოქალაქეებს სრულად უნარჩუნდებათ პენსია, სტიპენდია სწავლის ადგილას და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილას. კოოპერატივის წევრთა და სხვა მუშაკთა ხელფასის მაქსიმალური ოდენობა არ არის შეზღუდული.

3. სამუშაო დღის ხანგრძლივობა და განრიგი კოოპერატივში, დასვენების დღეები, შვებულების, მათ შორის დამატების მიცემის წესი, აგრეთვე შრომის სხვა პირობები განისაზღვრება კოოპერატივის შინაგანაწესით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს უფლება აქვს საკუთარი შემოსავლის ხარჯზე დააწესოს დამატებითი შეღავათები თავისი წევრების სოციალური უზრუნველყოფისათვის.

4. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდში შესატანების თანხა, რომლებსაც კოოპერატივი არ შეიტანს დადგენილ ვადაში, გადახდება უდავო წესით იმ ორგანოების წარდგენით, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ დაზღვევას.

მუხლი 24. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის ხარისხი

1. კოოპერატივის საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მიზნად უნდა ისახავდეს ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებას. კოოპერატივი ზრუნავს მისი დროული განახლებისათვის, ამასთან ითვალისწინებს მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ ამაღლებასა და ტექნოლოგიის სრულყოფას.

2. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხისადმი მოთხოვნები, მისი უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებანი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის შესახებ არსებულ კანონმდებლობას.

კოოპერატივი მოვალეა ზუსტად ასრულებდეს სახელმწიფოსა და მომხმარებელთა ინტერესების დამცავ სახელმწიფო სტანდარტებსა და სხვა ნორმებს, უწინარეს ყოვლისა, მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა უსაფრთხოებას, მათი ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას. კოოპერატივის პროდუქციას უნდა ჰქონდეს საწარმოო მარკა და დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული სასაქონლო ნიშანი, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 25. კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კოოპერატივი საჭირო ნედლეულის მასალებს, ინსტრუმენტებს, მოწყობილობასა და სხვა ქონებას იძენს საბითუმო თუ საცალო ვაჭრობის წესით სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციებისაგან, იყენებს შემკვეთთაგან (მოქალაქეთაგან, საწარმოთა და ორგანიზაციათაგან) დადებული ხელშეკრულებებით მიღებულ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე იძენს საქონელს სახელმწიფო საცალო სავაჭრო ქსელსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო ქსელში. სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის, ქსელიდან ნაყიდი საქონლის გადაყიდვა აკრძალულია. ასეთი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში. კოოპერატივს უფლება აქვს აგრეთვე შეიძინოს საქონელი საკოლმეურნეო ბაზრებზე, აუქციონებზე, გამოფენა-გაყიდვებზე და მოსახლეობისაგან. (სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში ნაყიდი საქონელი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ 10 პროცენტის დარიცხვით).

2. კოოპერატივი უზრუნველყოფილია ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსებით შემდეგი წესით:

კოოპერატივი, რომელიც დადებს სახელმწიფო შეკვეთის შესრულების ანდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში მონაწილეობის ხელშეკრულებას — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული და დარგობრივი ორგანოების და ორგანიზაციების მეშვეობით სახელმწიფო შეკვეთის შესრულების, ანდა აღნიშნული პროგრამების რეალიზაციის ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო მოცულობით;

კოოპერატივს შეუძლია აგრეთვე შეიძინოს ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსები დამამზადებელი საწარმოებისაგან იმ პირობით, თუ ისინი ასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებას, და იმ შემთხვევებში, როცა ასეთი პროდუქციის მიღებაზე უარი თქვეს მომხმარებლებმა, რომლებისთვისაც იგი იყო გამოყოფილი.

3. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისათვის კოოპერატივი საჭირო შემთხვევაში აწყობს ადგილობრივი ნედლეულისა და დადგენილი წესით სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვებასა და გადამუშავებას, მეორეული რესურსებისა და ნარჩენების შეგროვება-გადამუშავებას, დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის დამზადებასა და შეკეთებას, აგრეთვე თავისი პროდუქციის საფირმო მომსახურებას.

4. კოოპერატივს უფლება აქვს შეიძინოს, გაცვალოს, იჯარით, სესხად, უსასყიდლოდ აიღოს (მათ შორის ბალანსიდან ბალანსზე) სახელმწიფო კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი საწარმოებისაგან და მოქალაქეებისაგან გამოუყენებელი შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ნედლეული და მასალები.

5. კოოპერატივი, რომელიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებს და მომსახურებას უწევს მოსახლეობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისათვის ანგარიშს ასწორებს მზარდკოეფიციენტიანი საბითუმო ფასებით ან საცალო ფასებით, მათი არ არსებობის დროს კი სახელშეკრულებო ფასებით.

მუხლი 26. კოოპერატივის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

1. კოოპერატივები და მათი კავშირები (გაერთიანებები) აქტიურად მონაწილეობენ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას, სავალუტო რესურსების დაგროვებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და კოოპერაციული წარმოების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობათა შექმნას.

კოოპერატივებისა და მათი კავშირების (გაერთიანებების) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე.

2. კოოპერატივებს, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო საქმიანობას და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) რომელთა პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე, დადგენილი წესით შეიძლება მიეცეთ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა უშუალო შესრულების უფლება.

ამასთან კოოპერატივს შეუძლია საექსპორტოდ გაიტანოს თავისი პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) მათ შორის სხვა კოოპერატივებთან და საწარმოებთან ერთად ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი, ხოლო კავშირებს (გაერთიანებებს) აგრეთვე მათ შემადგენლობაში შემავალი კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია.

კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ აგრეთვე განახორციელონ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები სახელშეკრულებო საფუძველზე შესაბამისი საგარეოსავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით.

კოოპერატივებს და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) უფლება აქვთ დადგენილი წესით განახორციელონ საგარეო-სავაჭრო ოპერაციები საზღვრისპირა ვაჭრობაში უცხოელ პარტნიორებთან.

3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, კოოპერატივებს და მათ კავშირებს, რომლებიც საწარმოო საქმიანობას ახორციელებენ, შეუძლიათ შექმნან ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები.

მუხლი 27. აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

1. კოოპერატივები ახორციელებენ თავიანთი საქმიანობის შედეგების აღრიცხვას, ეწევიან საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას და პასუხს აგებენ სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებისათვის დადგენილი წესით მისი სარწმუნოებისა და წარდგენის დროულობისათვის.

2. კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას აწყობს მისი სარევიზიო კომისია (რევიზორი) ან ეწყობა აუდიტორულ ორგანიზაციასთან ანდა კოოპერატივთა შესაბამისი კავშირის (გაერთიანების) მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების მოთხოვნით კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია შეიძლება მოაწყოს საფინანსო ორგანოების საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა.

3. კოოპერატივების მუშაობის შემოწმებას აწარმოებენ კონტროლის საერთო ან სპეციალური ფუნქციების მქონე სახელმწიფო ორგანოები მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ამასთან რევიზიები და შემოწმებები არ უნდა არღვევდნენ კოოპერატივის მუშაობის ნორმალურ რიტმს. კომპლექსური შემოწმებები შეიძლება მოეწყოს სულ ბევრი წელიწადში ერთხელ.

მუხლი 28. კოოპერატივების საქონლის რეალიზაცია

1. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივები მათ მიერ დამზადებულ პროდუქციას აწვდიან მოსახლეობას, სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამოუკიდებლად, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის მაღაზიების მეშვეობით როგორც ნაწარმის დამზადების ადგილას, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც.

მის მიერ წარმოებული პროდუქციის დამოუკიდებლად რეალიზაციის დროს კოოპერატივს შეუძლია პრეფექტურასა და საკრებულოსთან შეთანხმებით გახსნას მაღაზიები, ფარდულები, კიოსკები, მათ შორის რამდენიმე კოოპერატივის წილობრივი მონაწილეობით. შესაძლებელია საჭირო სათავსოების იჯარით აღებაც.

მუხლი 29. კოოპერატივების წევრთა ქონებრივი პასუხისმგებლობა

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივის წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ლიკვიდირებული კოოპერატივის ვალების მიხედვით მისი ქონების არასაკმარისობის დროს მისი წესდებით გათვალისწინებული წესით, ოდენობითა და პირობებით. კოოპერატივის წევრის პასუხისმგებლობის ფარგლები არ უნდა იყოს მის მიერ მიღებული წლიურ შემოსავალზე ნაკლები.

მუხლი 30. კოოპერატივების ქონების რეალიზაცია და განაწილება მათი ლიკვიდაციის დროს

წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების ლიკვიდაციის დროს შენობები, ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა, აღჭურვილობა, ნედლეულის, მასალების მარაგი, არარეალიზებული მზა პროდუქციის ნაშთები და სხვა ქონება, რომელიც კოოპერატივის საკუთრებაა, მიეყიდება საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს სახელშეკრულებო ფასებით.

ქონების გაყიდვისაგან მიღებული ამონაგები და კოოპერატივის ფულადი სახსრები კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებთან შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორებისა და ბიუჯეტის, ბანკების, სხვა კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის.

კარი IV.

სახელმწიფო და კოოპერაცია

მუხლი 31. სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობა კოოპერატივებთან

1. სახელმწიფო და მისი მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ კოოპერატივებისა და მათი წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, საერთოდ რესპუბლიკის მთლიანი სახალხო მეურნეობის ინტერესებთან კოოპერატივების ინტერესების შეხამებას.

სახელმწიფო ორგანოები მაქსიმალურად ხელს უწყობენ კოოპერაციული მოძრაობის სწორად წარმართვას, მათი წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოთხოვნათა გათვალისწინებით განსაზღვრავენ კოოპერაციის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ ზარალიანი სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე კოოპერატივების შექმნას.

2. პრეფექტურები, საკრებულოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები მრავალფეროვან დახმარებას უწევენ კოოპერატივებს: აძლევენ მათ სარგებლობისათვის უსასყიდლოდ, აგრეთვე იჯარით მიწას, საწარმოო და სხვა ნაგებობებს, მოწყობილობას, ხელს უწყობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფაში, მათი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეკლამაში, ეხმარებიან წარმოების ეკონომიკურად ეფექტიანი სტრუქტურის შემუშავებაში, აწესებენ კოოპერატივებს სხვადასხვაგვარ შეღავათსა და უპირატესობას.

ამავე დროს ეს ორგანოები ახორციელებენ მათი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ კოოპერატივები მოქმედ კანონმდებლობას შრომის დაცვის, უსაფრთხოების, ტექნიკის, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარიის, სახანძრო უსაფრთხოების, პირუტყვისა და მცენარეების დაავადებებთან ბრძოლის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, აგრეთვე როგორ ასრულებენ კოოპერატივები სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა გადარიცხვის მოვალეობებს, როგორ ახორციელებენ აღრიცხვასა და სახელმწიფო ანგარიშგებას.

3. სახელმწიფო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და სხვა ფორმების გამოყენებით, ყველაზე ხელშემწყობ იდეოლოგიურ წანამძღვრებს უქმნის კოოპერატივების საქმიანობას, ყველგან უზრუნველყოფს ისეთ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელშიც კოოპერატივის თითოეული წევრი იგრძნობს, რომ იგი თავისი მუშაობით ასრულებს დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს, ეხმარება სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

4. არ დაიშვება წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების წევრებად შესვლა და მათში შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მუშაობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისა, რომელთა ფუნქციებში შედის კოოპერატივების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელება.

განვიხილავთ კანონპროექტს

შენიშვნები პატენტების შესახებ

ამას წინათ გამოქვეყნებული პროექტის — „საქართველოს რესპუბლიკის კანონი პატენტების შესახებ" შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ სურვილი დამებადა გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი.

კანონპროექტის დასახელება გამართლებული არ არის იმიტომ, რომ თვით კანონპროექტი ეხება მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ერთ სახეობას — გამოგონებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცნება სამრეწველო საკუთრება მოიცავს: გამოგონებას, სამრეწველო ნიმუშს, სასაქონლო ნიშანს, ზოგჯერ — საფირმო დასახელებას და მომსახურების ნიშანს. ტერმინი სამრეწველო საკუთრება კრებითია და თუ კანონში მოცემულია სამრეწველო საკუთრების ყველა სახის დაცვის ნორმები, მაშინ მოცემული დასახელება გამართლებულია. ამ შემთხვევაში პროექტის სამართლებრივი ნორმები ეხება მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ერთ სახეობას — გამოგონებას, რის გამოც კანონის დასახელება — „საქართველოს რესპუბლიკის კანონი გამოგონებების შესახებ" ზუსტი, კონკრეტული და მისი შინაარსის ადეკვატური იქნებოდა.

მეორე მუხლი მოიცავს ნორმას გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმებისა და მათი განმარტების შესახებ. ტერმინი „პროგრესული" შეიძლება უგულებელვყოთ, რადგან მომდევნო განმარტებათა რანჟირებაში არავითარი დეფინიციური დატვირთვა და, მით უმეტეს, განმარტებითი განსაზღვრა ან დაკონკრეტება არა აქვს. ეს ტერმინი ზედმეტია. რა განსაკუთრებული როლი ენიჭება ტერმინ „იდეას"? ცნობილია, რომ ამ ტერმინის დეფინიცია ნიშნავს — გაგებას, წარმოდგენას, მთავარ აზრს, განზრახვას, რაც ნორმატიულ კოლიზიას ქმნის ამ ნორმის მომდევნო დახასიათებასთან — „სამრეწველო გამოყენებასთან". ნებისმიერი ქვეყნის კანონი სამრეწველო საკუთრების შესახებ შემოთავაზებულ შემოქმედებით მიღწევას ანიჭებს დაცვის სტატუსს, თუ მოცემული გადაწყვეტა სამრეწველო წესით გამოიყენება (დაინერგება) და გაიტანება ბაზარზე. უნიკალური, ე. ი. ამ შემთხვევისათვის ერთჯერადი გამოყენების ქმნილება არ არის პატენტუნარიანი. აქედან გამომდინარე, იდეა, როგორც არასრულყოფილი მიღწევა, ე. ი. ისეთი, რომელსაც ესაჭიროება შემდგომი შემოქმედებითი დამუშავება და დაყვანა ტექნიკური ან ტექნოლოგიური ობიექტის სრულყოფამდე, არ შეიძლება პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს და სათანადო ნორმაც კანონპროექტისა მიუღებელია. ნორმატიულ ლაფსუსს წარმოადგენს ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი „ჩაითვლება" (გამოგონებად ჩაითვლება) ვინაიდან კანონი გამოგონებების და საერთოდ სამრეწველო საკუთრების შესახებ, მიუხედავად მის მიერ განცხადებითი თუ შემოწმებითი ექსპერტიზის სისტემით აღიარებულ შემოწმებას, სახელმწიფო პროცედურას, ესე იგი განცხადებული ობიექტის შემოწმებას და შემოწმების შედეგად პატენტის გაცემას თუ არგაცემას ითვალისწინებს და ამიტომ მიზანშეწონილია ამ ნორმაში გამოყენებულ იქნეს ტერმინი „მიჩნევა" (გამოგონებად მიიჩნევა). ამ შემთხვევაში კიდევ ერთი ლაფსუსია დაშვებული, რადგან გაიგივებულია კანონი სამრეწველო საკუთრების შესახებ საავტორო სამართალთან, რომლის ნორმატიული მასალა (იხ. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა საავტორო სამართლის შესახებ) არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი სახის და შინაარსის შემოქმედებითი მიღწევის თუ მიღწევების ექსპერტიზას მისი თუ მათი ღირსების დასადგენად, ესე იგი მიჩნევას და მიჩნევის შედეგად დამცავი დოკუმენტის — პატენტის გაცემას.

მათი აღიარება ხდება პუბლიკაციის, დემონსტრირების თუ ტირაჟირების შემდეგ, ე. ი. ცნობილობის შემდეგ. ამ გაგებით კანონი სამრეწველო საკუთრების შესახებ მკაცრია — მას აქვს შემოწმების ანუ ექსპერტიზის პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეიქმნებოდა საჭიროება სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობის არსებობის აუცილებლობისა და მათი შინაარსობრივი სხვაობა წაიშლებოდა. მოტანილ ნორმას გარდა დაშვებითი ხასიათისა, აქვს აგრეთვე ამკრძალავი ხასიათიც.

არაპატენტუნარიანი ობიექტების ნუსხაში შეტანილია ისეთი ობიექტები, როგორიცაა „მკურნალობის ქირურგიული და თერაპიული ხერხები და მეთოდები, აგრეთვე სამედიცინო და ვეტერინარული დიაგნოსტიკის მეთოდები". გასაგებია, რომ ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით მონოპოლიური ხასიათის ძალაუფლება არ არის დასაშვები კერძო პირთათვის ანდა აქციონერულ, კოლექტიურ (არასახელმწიფოებრივ) იურიდიულ პირთათვის მათი შესაძლო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამო; მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ დარგებში შექმნილი მიღწევების გამოგონებად მიჩნევა, ხოლო სახელმწიფო განსაკუთრებული ანუ მონოპოლიური უფლების ძალის მქონე ობიექტებად, მაშინ კანონპროექტში არსებული ხარვეზი შეივსება.

სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია ისიც, რომ „მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, მათი გამოყვანის სელექციური მეთოდები" არ მიიჩნევიან გამოგონებად. ამდაგვარი შეზღუდვა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არ არის სახარბიელო, ამიტომ, ამ ნორმის შევსების მიზნით ციტატა შესაძლოა გაგრძელებულ იქნას შემდეგი შინაარსის სიტყვებით: „...რომლებზეც გაიცემა მოწმობები სოფლის მეურნეობის უწყების კომპეტენციის ფარგლებში და რომელთა რეგისტრირება ხდება სახელმწიფო სასელექციო მიღწევათა რეესტრში"...

კანონპროექტის მესამე მუხლის ამკრძალავი ხასიათის ნორმა იმის შესახებ, თუ რომელი პირები არ ჩაითვლებიან თანაავტორებად, ხარვეზიანია. მოყვანილ პირთა ნუსხაში საჭიროა ჩამოთვალონ ის პირებიც, რომლებიც აღმოუჩენენ გამომგონებლებს მეთოდიკურ ან პროფესიულ დახმარებას საგანაცხადო მასალის ფორმირებაში. მაგალითად, პატენტმცოდნეები, საპატენტო რწმუნებულები, ინფორმატორები და ა. შ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მუხლის ბოლო აბზაცში მოცემულ დეფინიციაში მონაწილე ტერმინი „შეიძლება" (შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლოდ) არ მოიცავს კონკრეტულ დატვირთვას. „შეიძლება" — ვისთვის, რისთვის? გამოგონების დასაიდუმლოება სპეციალური სახელმწიფო ნუსხით ხდება, რათა როგორც განმცხადებლისათვის, ასევე სახელმწიფო საპატენტო უწყებისათვის აცილებულ იქნას ორაზროვნება და ნეგატიური გადაწყვეტილების მიღება.

სახელმწიფო და სათანადო საზოგადოება, ერთი მხრივ, — ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას (მეოთხე მუხლი) გამოგონებაზე და, მეორე მხრივ, — ზღუდავს მის მონოპოლიას მაშინ, როდესაც პატენტმფლობელი არ ამართლებს საზოგადოების მოლოდინს, ე. ი. ახალი ობიექტის მიწოდებით არ აკმაყოფილებს სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებას. ეს პრინციპი ამა თუ იმ ფორმითა და შინაარსით ყველა ქვეყნის კანონებში არის გათვალისწინებული. ამიტომ გაუგებარია ამ მუხლის შინაარსი იმის თაობაზე, თუ რატომ ეხება პატენტმფლობელის უფლებამოსილება ბაზარზე გასატანი ობიექტის შენახვას. უნებლიედ იბადება აზრი: დეფიციტის შექმნას ხომ არ ემსახურება ეს შინაარსი? შეუთანხმებლობის ან კოლიზიის შემთხვევაში დასაშვებია თითოეულმა თანაავტორმა გამოიყენოს გამოგონება, მაგრამ ამ ნორმის კანონპროექტში შეტანისას აუცილებელი იყო იმის თქმაც, რომ ამ შემთხვევაში უმოქმედო გამომგონებელს გადაეცემა პატენტით დაცული გამოგონების დანერგვის შედეგად მიღებული მოგების სათანადო წილი ან შექმნილი კოლიზია განიხილება სასამართლოში (აქ და შემდეგ იგულისხმება რაიონის, ქალაქის და უზენაესი სასამართლო) ამით სამართლიანობა დაცული იქნება.

მეხუთე მუხლის დასახელება — „საპატენტო განაცხადი" არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან საგანაცხადო მასალის ფორმირება სავარაუდო გამოგონებაზე სათანადო წესით და მეთოდებით ხდება, ამიტომ პირველადი არის გამოგონების ობიექტი განცხადებული საპატენტო უწყებაში და მეორადი კი — პატენტი, რომელიც გაიცემა ამ უწყების მიერ ექსპერტიზის შემდეგ გამოგონებად მიჩნეულ შემოქმედებით მიღწევაზე. ამასთან დაკავშირებით ისიც არის ნიშანდობლივი, რომ გამოგონების აღწერილობაში (უკეთესია და სრულყოფილია: გამოგონების საგნის ფორმულირებაში) კი არ უნდა იყოს ნაჩვენები „გამოგონებით მიღწეული მიზანი", არამედ — „მისაღწევი მიზანი", რომლის რეალობის დადგენა სახელმწიფო ექსპერტიზის კომპეტენციაში შედის და რომელიც მიღწეულად უნდა ჩათვალოს სახელმწიფო ექსპერტიზამ. ეს პროცედურა, მისი შეჯიბრებითი ხასიათის გამო, იმასაც კი ითვალისწინებს, რომ შესაძლოა ექსპერტიზამ შედეგად გამოგონების მიზანი შეცვალოს.

ამავე მუხლში მოცემული ფრაგმენტი: „გამოგონების არსი იმდენად სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყოს გამოგონების სამრეწველო გამოყენება" — სრულყოფილია და რეალურად ასახავს სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობის ერთერთ მთავარ პრინციპს, მაგრამ კანონპროექტის წინამდებარე მუხლთან შედარებით იერარქიულად კი არ ავითარებს, არამედ (იხ. მეორე მუხლი) უპირისპირდება მას, ქმნის დეფინიციურ და სამართლებრივ კოლიზიას და პარადოქსულად ჟღერს. დანერგვის თუ გამოყენების (თანაც სამრეწველო წესით) რა რეალობაზეა ლაპარაკი, როდესაც გამოგონების ანუ პატენტუნარიანობის კრიტერიუმად აღებულია ტერმინი „იდეა"?. ამდაგვარი სამართლიანობა სამართლებრივი არ არის.

კანონპროექტის მეექვსე მუხლში განაცხადის განხილვის და პატენტის გაცემის სამართლებრივი ნორმები მხოლოდ დეკლარირებულია, პარადოქსულია, მაგრამ შავით თეთრზე წერია: „განაცხადის განხილვისას ტარდება მხოლოდ იმ მოთხოვნათა დაცვის შემოწმება, რომლებიც განაცხადის გაფორმებას ეხება (მუხლი 5). საპატენტო უწყება არ იკვლევს, არის თუ არა გამოგონება ახალი და აქვს თუ არა მას საგამომგონებლო დონე". თუ სახელმწიფო ექსპერტიზა არ ამოწმებს სავარაუდო გამოგონებას მის მიერ ნორმირებული პატენტუნარიანობის კრიტერიუმების მიხედვით (იხ. მეორე მუხლი), მაშინ რა საჭიროა ამ კრიტერიუმების დახასიათება, რა საჭიროა საერთოდ კანონი გამოგონებების შესახებ, რა საჭიროა სახელმწიფო საპატენტო უწყება, თუ მას მხოლოდ განაცხადების რეგისტრირების და პატენტის გაცემის ფუნქცია ეკისრება? ზემოხსენებულის საფუძველზე განაცხადის რეგისტრირება და შემდეგ პატენტის გაცემა შესაძლოა დაევალოს სანოტარო კანტორასაც კი!

ანალოგიური შეუსაბამობა მოცემულია მომდევნო ნორმას და წინამდებარე მუხლის ნორმას შორის: „თუ განაცხადი რამდენიმე გამოგონებას შეიცავს, განმცხადებელს წინადადება ეძლევა მათ განცალკევებაზე" და ეს მაშინ, როდესაც მეხუთე მუხლის მიხედვით: „ერთ განაცხადში ორი ან მეტი გამოგონების გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთ ობიექტს (მოწყობილობას, ხერხს, ნივთიერებას) ეკუთვნიან, ერთ მიზანს ემსახურება და მათი გამოყენება მხოლოდ ერთად შეიძლება". ამდაგვარ ჯგუფურ გამოგონებებს ერთი საერთო დასახელება უნდა ჰქონდეთ, მაგალითად: ხის დასამუშავებელი დაზგა და ფრეზა ამ დაზგის გამოყენებისათვის". ამიტომ დასაშვებია ამ ორი გამოგონების მოთავსება ერთ აღწერილობაში თავისი ფორმულით. გარდა ამისა, ჯგუფური გამოგონებებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ობიექტების ნაირსახეობას (მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება), თუ უკანასკნელნი ემსახურებიან ერთ ტექნიკურ ამოცანას ან ერთიან საგამომგონებლო მოსაზრებას (მხოლოდ და მხოლოდ ამოცანას ან მოსაზრებას და არა მიზანს!) მაგალითად: „ნივთიერების მიღების ხერხი, სათანადო მოწყობილობა და მიღებული ნივთიერება" ასეთი დანიშნულების ობიექტების (ხერხი, მოწყობილობა, ნივთიერება) ერთ აღწერილობაში და ფორმულირებაში მოთავსება (ფაქტობრივად იგულისხმება ერთი განაცხადი) იურიდიული გამართლება აქვს, რადგან ისინი ემსახურებიან საერთო ამოცანას. სამრეწველო საკუთრების საკანონმდებლო პრაქტიკაში გამოგონებების ასეთი გაერთიანება წესად არის მიღებული გამომგონებლის (განმცხადებლის) მიმართ ლოიალობის თვალსაზრისით, რადგან ამისთანა შემთხვევის დროს საგანაცხადო ბაჟი შესატანია საპატენტო უწყებაში, როგორც ერთ გამოგონებაზე. განაცხადში მოცემული გამოგონებების განცალკევება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება გამოგონების ერთობლიობის მოთხოვნის დარღვევა. ეს შეიძლება გამოგონების ნაირსახეობას ეხებოდეს მაშინ, თუ ისინი არ ემსახურებიან საერთო საგამომგონებლო მოსაზრებას ან ტექნიკურ ამოცანას...

ამავე მუხლში მოცემულია ნორმატიული მასალა, რომელიც ასახავს პატენტუნარიანობის ანუ შინაარსობრივი ექსპერტიზის უგულებელყოფას და ამ კანონპროექტში საპატენტო ექსპერტიზის განცხადებითი სისტემის პრინციპის არსებობას: „პატენტი გაიცემა მფლობელის პასუხისმგებლობით".

კიდევ ერთ ურთიერთდაპირისპირებას შეიცავს კანონპროექტი. თუ პატენტის მისაღებად სავარაუდო გამოგონებაზე საკმარისია მართებულად გაფორმებული საგანაცხადო მასალა (რაც იმას გულისხმობს, რომ ამდაგვარი გამოგონება ყოველთვის და მუდამ სავარაუდოა, რადგან კანონპროექტი უარყოფს შინაარსობრივ ექსპერტიზას), მაშინ რა დააშავა დამატებითი გამოგონების ავტორმა (იხ. მეშვიდე მუხლი), რაკი მისი უფლებები სათუოა? ამ მუხლის თანახმად თურმე შესაძლებელია პატენტის გაცემა დამატებით გამოგონებაზე, ხოლო გაურკვეველია, ვისზეა ეს შესაძლებლობა დამოკიდებული: გამომგონებელზე ანდა განმცხადებელზე, თუ საპატენტო უწყების ექსპერტზე?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პატენტმფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება გამოგონების გამოყენებაზე, მაგრამ ის, რომ საწარმოს თუ მეწარმეს აქვს განსაკუთრებული (მონოპოლიური) უფლებები ავტორის მიერ შემოქმედებითი შრომით მიღწეულ გამოგონებაზე, ჩემი აზრით — უპრეცედენტოა. კანონპროექტის მერვე მუხლში ეს მონოპოლიური აზრია გატარებული გარდა იმ შემთხვევისა, „თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოსა (მეწარმესა) და გამომგონებელს შორის დადებული ხელშეკრულებით". ეს ნორმა ნეგატიურად არის წარმოდგენილი. მისი პოზიტიური მხარე კი ასეთნაირად უნდა გამოიხატოს: „...გაიცემა სამუშაოს მიმცემის სახელზე თუ მხარეებს შორის წინასწარ დადებულია სათანადო ხელშეკრულება". გარდა ამისა, დაფიქსირებული უნდა იყოს ისიც, რომ ეს ხელშეკრულება პატენტის მიღების უფლების დათმობასთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს სამუშაოს მიმცემის ვალდებულებებს ავტორის მატერიალური, საწარმო და სოციალური პირობების დაკმაყოფილებასაც.

აქედან გამომდინარე მეცხრე მუხლი (ალტერნატიული) უფრო სამართლებრივია, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ზემოთ მოტანილი შინაარსით.

ლიცენზირების ანუ დაპატენტებულ გამოგონებაზე უფლებათა გასხვისება (ნებართვა გამოყენებაზე) იძულებით შემთხვევაში (მეთერთმეტე მუხლის ნორმატიული მასალა) პატენტის გაცემიდან სამი წლის შემდეგ არ არის სამართლიანი და უმჯობესია ეს ვადა არანაკლებ ხუთ წელს შეადგენდეს.

სამრეწველო საკუთრებაზე კანონმდებლობის პრინციპია — ტერიტორიული იურისდიქცია. ამრიგად, წინადადება იმის შესახებ, რომ თუ პატენტმფლობელი ვერ აკმაყოფილებს საექსპორტო ბაზრის მოთხოვნებს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს პატენტმფლობელისაგან იძულებითი ლიცენზია — უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაა. აქვე დარღვეულია დამატებითი პატენტის ძირეული პრინციპი: გამოგონება მაშინ არის დამატებითი, როდესაც მისი დამოუკიდებლად (ძირითადის გარეშე) გამოყენება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ნებისმიერი უფლებამოსილების შეზღუდვა ამ ასპექტში დაუშვებელია, რადგან იურიდიულად გაუმართლებელი მონოპოლურ უფლებებს უქმნის მსურველს და არა პატენტმფლობელს. ეს პრინციპი გათვალისწინებულია ყველა ქვეყნის კანონებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოგონება სახელმწიფო ინტერესებს ესაჭიროება, თანაც ისეთს, როგორიცაა სახელმწიფოს თავდაცვის, საზოგადო წესრიგის საკითხები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე და არა პირადი გამორჩენის მიზნით წყდება.

როგორც განხილულ მუხლში, ასევე მომდევნო მეთორმეტე მუხლში, ზედმიწევნით გაფართოებულია როგორც კომპეტენცია, ასევე ფუნქციები როგორც კანონპროექტისა, აგრეთვე საპატენტო უწყებისა, რადგან ქონებრივი საკითხების ირგვლივ კოლიზიები განიხილება სასამართლოს მიერ (ფუნქცია) სამოქალაქო-პროცესუალური სამართლის ნორმების მეშვეობით (კომპეტენცია). ასე მაგალითად, პატენტმფლობელის უფლებების დარღვევები, რომლებიც ქონებრივ ხასიათს ატარებენ, არ უნდა იქნან ნორმირებული ამგვარ კანონში.

მეცამეტე მუხლი ეხება პატენტზე უარის თქმას, რაც, რასაკვირველია, პატენტმფლობელის ნებასურვილს გამოხატავს და იმას ნიშნავს, რომ მან განსაკუთრებულ უფლებებზე უარი თქვა და საზოგადოებას თუ სახელმწიფოს გადასცა უსასყიდლოდ თავისი გამოგონება. ამ შემთხვევაში რა პრინციპით უნდა ისარგებლოს ლიცენზიატმა (ლიცენზიის მფლობელმა), რომელმაც თავის დროზე შეისყიდა, მაგალითად, არაგანსაკუთრებული ლიცენზია და მერე (პატენტმფლობელის მიერ თავის უფლებებზე უარის განცხადების შემდეგ) ვალდებულებს ყოფილ პატენტმფლობელს ამდაგვარი „გაჩუქებისას" შეუთანხმოს მას „გაჩუქების აქტი"? ეს შეზღუდვაა საპატენტო ურთიერთობების პრინციპებისა და ზედმიწევნით გაუმართლებლად აფართოვებს ლიცენზიატის უფლებებს.

იმ შემთხვევაში, თუ პატენტმფლობელმა ისარგებლა თავისი უფლებებით და განახორციელა სხვადასხვა, კანონით დაშვებული ღონისძიებები, მაგალითად, სალიცენზიო გარიგება მოახდინა, მაშინ რა ქნას მან? ამიტომ მოცემულ ნორმაში მიზანშეწონილი არ არის ამ ფრაზის არსებობა.

მეთოთხმეტე მუხლში მოცემული მასალა ეხება პატენტის გაუქმების ნორმებს. აქაც იჩინა თავი წინამდებარე წინააღმდეგობამ ტერმინოლოგიური და აქედან გამომდინარე სამართლებრივი უზუსტობების გამო. ასე მაგალითად, ვკითხულობთ, რომ „პატენტის გაუქმება შესაძლებელია თუ გამოგონების აღწერა იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელს ხდის გამოგონების სამრეწველო გამოყენებას". სამართლიანი ნორმაა! მაგრამ ხომ ეწინააღმდეგება წინამდებარე ნორმებს! (იხ. მაგალითად, მეორე და მეექვსე მუხლები და მათზე მოცემული შენიშვნები)

გარდა ამისა, სახელმწიფო საპატენტო უწყება არ უნდა იყოს ვალდებული „უზრუნველყოს პატენტთან დაპირისპირებული მასალების ექსპერტიზა" (იხ. მაგალითად, მეჩვიდმეტე მუხლის ანალოგიური ნორმა). მიზანშეწონილია ეს ფუნქცია დაეკისროს საპატენტო უწყებასთან შექმნილ ცენტრს, საკონტროლო ან სააპელაციო საბჭოს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება დაეკისროს საპატენტო სასამართლოს.

ბაჟის გადახდის რეგლამენტირება (მეთხუთმეტე მუხლი), როგორც საფინანსო ოპერაციის შესრულება, მიზანშეწონილია განისაზღვროს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და არა შესაბამისი კანონით, ვინაიდან ეს ოპერაცია არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ სათანადო კანონის შემუშავებას მოითხოვდეს.

მეთექვსმეტე მუხლი — ხარვეზიანია, რადგან მას აკლია ამკრძალავი ხასიათის ნორმა, რომლის თანახმადაც საპატენტო უწყებაში მომუშავე სპეციალისტებს ეკრძალებათ საგანაცხადო მასალების ფორმირება და ა. შ. (კერძო პრაქტიკა), რაც საყოველთაოდ დაკანონებულ ნორმას წარმოადგენს, რათა საპატენტო უწყების ფუნქციონირებას არ ჰქონდეს ნეგატიური მხარეები.

საპატენტო კანონების არსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია: გამოგონება ავტორმა (პატენტმფლობელმა) უპირველეს ყოვლისა უნდა დააპატენტოს თავის ქვეყანაში, ასარგებლოს თანამოქალაქეები და სახელმწიფო, შემდეგ კი, [illegible] უფლების საფუძველზე — უცხოეთში. აქედან გამომდინარე ის, რომ კანონპროექტის თანახმად გამოგონების დაპატენტება უცხოეთში კერძო თუ იურიდიულ პირს შეუძლია უშუალოდ — საპატენტო კანონების პრინციპების [illegible] იგნორირებაა (იხ. მეთვრამეტე მუხლი).

გარდა ამისა, ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ გამოგონება შესაძლოა საიდუმლოს წარმოადგენდეს, ჰქონდეს თავდაცვის მნიშვნელობა, მომგებიანი იყოს კომერციული თვალსაზრისით და ამიტომ მოტანილი პრინციპის უგულებელყოფა არ არის გამართლებული.

უფრო მეტიც, ნებისმიერი უცხო ქვეყანა განაცხადს, რომელმაც არ გაიარა რეგისტრაცია იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქემ თუ იურიდიულმა პირმა უშუალოდ შეიტანა დაინტერესებულ ქვეყანაში — საერთაშორისო საპატენტო პრინციპის შესაბამისად არ მიიღებს განსახილველად (იხ. პარიზის კონვენციის მასალები სამრეწველო საკუთრების შესახებ). ამრიგად, უკანონო მცდელობა გამოგონების გატანისა უცხოეთში კვალიფიცირებულ უნდა იყოს, როგორც სამრეწველო შპიონაჟი, თუ მეტი არა.

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა ჯერ არ არის პარიზის კონვენციის წევრი ქვეყანა, უცხოელ მოქალაქეთა, მოქალაქეობის არ მქონე პირთა და უცხოელ იურიდიულ პირთა უფლებების (მეცხრამეტე მუხლი) სტატუსი უნდა იყოს განმარტებული შემდეგი დამატებით: „...სარგებლობენ ნაცვალგების უფლებებით".

ამრიგად, კანონპროექტის ტექსტის მიხედვით, რომელიც მოიცავს 20 მუხლს, შენიშვნები გაკეთებულია 17 მუხლის შესახებ. მკითხველი დამერწმუნება, რომ შენიშვნების კლასიფიკაცია და მათი რანჟირება არ არის აუცილებელი, რადგან ვიმედოვნებთ, ამდაგვარი კრიტიკული სტრუქტურირება კანონპროექტის ნორმატიული მასალისა ჩანს მისივე ნორმირების რეგულირების დონიდან, ნორმების კომპოზიციიდან, მათი იურიდიული აზრიდან, გამოყენებული ტერმინოლოგიური მასალიდან თავისი შინაარსითურთ და, რაც მთავარია, იმ კონცეფციიდან, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ კანონპროექტს. ამ კონცეფციას ეწოდება — საპატენტო ექსპერტიზის განცხადებითი სისტემა, რომლის შეფასებას მკითხველს ვანდობ, ხოლო რაც შეეხება ჩემს ღრმა რწმენას, ექსპერტიზის სისტემა, რომელიც თავის თავზე არ იღებს სავარაუდო გამოგონების შემოწმებას სიახლეზე, ვარგისუნარიანობაზე, სამრეწველო წესით გამოყენებადობაზე და არ იყენებს პროგრესულ და თანამედროვე დონის პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს — გადაწყვეტის გამოგონებად მისაჩნევად — მისაღები არ არის. ეს ექსპერტიზა არავითარ გარანტიებს არ იძლევა. ჩვენ არ გამოგვადგება ექსპერტიზის განცხადებითი სისტემა. თუ გვინდა, რომ პატენტი ადასტურებდეს ჩვენი გამოგონების მსოფლიო სიახლის დონეს, იყოს კონკურენტუნარიანი, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე, თუ გვინდა, რომ კანონი უზენაესობდეს, იყოს ზუსტი ქართული ანბანივით — უნდა ავირჩიოთ საპატენტო ექსპერტიზის შემოწმებითი სისტემა. მაშინ, როგორც ჩვენ, ასევე ჩვენი სახელმწიფო, გარანტირებული ვიქნებით სათანადო უფლებების დაცვით.

ჩვენი რესპუბლიკის პირველი კანონი გამოგონებების შესახებ უნდა ასახავდეს ისეთსავე სრულყოფილებას, როგორსაც ასახავდა ვახტანგ VI სამართლის კანონები: შემქნილი იყოს სიკეთითა ყოვლითა!

მანილ სამხარაძე,
პატენტმცოდნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება

ადამიანის ქვედა ყბა, იარაღები და... სენსაცია არქეოლოგიაში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ დმანისში აღმოაჩინა ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთი და ქვის იარაღები, უმდიდრესი ფაუნისტური მასალა, რომელიც ერთი მილიონი წლისაა და შეიძლება უფრო უძნესიც! — ეს სენსაციური აღმოჩენაა, გვითხრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა პროფესორმა **ოთარ ლორთქიფანიძემ**:

დმანისი ქართველი კაცისთვის კარგად არის ცნობილი: შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ცენტრი. მისი განსაკუთრებით დაწინაურების დასაწყისი ქართველთა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული.

დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ 1936 წელს დაიწყო ბატონ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით. პირველ გათხრებს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ისტორიკოსი და არქეოლოგი, აწ განსვენებული ლევან მუსხელიშვილი, მეცნიერ-კონსულტანტი გახლდათ აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი. პირველმა ექსპედიციამ მხოლოდ ორი წელი (1936-1937) იმუშავა, მაგრამ საფუძველი ჩაუყარა შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიას.

არქეოლოგიური გათხრები დმანისის ნაქალაქარზე 1960 წელს განახლდა და მას მერე ხელმძღვანელობს ჯერ კიდევ პირველი ექსპედიციის მონაწილე, დღეს კი უკვე მხცოვანი არქეოლოგი ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე, (რომლის დაბადებიდან 80 წლისთავი ღრმა პატივისცემით აღნიშნეს მისმა კოლეგებმა მიმდინარე წელს).

ბატონ ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება დმანისის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში მეტად შთამბეჭდავია: აღმოჩენილია ძველი ქალაქის კარიბჭე და მოკირწყლული ქუჩები, თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობანი, სახელოსნოები და ბეღელ-მარნები, ეკლესიები და ქრისტიანული სიმბოლოებით მორთული ქვის სტელები, კერამიკა და ლითონის ჭურჭელი, აურაცხელი ნუმიზმატიკური მასალა (უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის მჭევრმეტყველი მოწმობა). განსაკუთრებით საამაყოა VI საუკუნით დათარიღებული ქვის სარკოფაგი ს. ბოლნისიდან მისი ასომთავრული წარწერით და სხვა...

ბატონ ვახტანგის ვარაუდი, რომ აქ ქვის ხანის ადრეული საფეხურის ადამიანის ნაკვალევიც არსებობდა, დაადასტურა საქართველოს არქეოლოგიურმა კომისიამ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობით. 1983 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ჩამოყალიბდა ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი (თამაზ ბუგიანიშვილი, ნუგზარ მგელაძე), მათთან ერთად სამუშაოებში მონაწილეობდნენ პალეონტოლოგები აკადემიკოსი ლ. გაბუნია, პროფესორი ა. ვეკუა, გეოლოგი — ბატონი გ. მაისურაძე, პალინოლოგი — ქალბატონი ნ. კლოპოტოვსკაია. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქვის ხანის ძეგლების შესასწავლად კი მას შემდეგაც გრძელდებოდა...

1990 წელს დმანისის ნაქალაქარი და იქ აღმოჩენილი ქვის ხანის ნაშთები დაათვალიერა საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ მოწვეულმა გერმანელმა მეცნიერმა, ქვის ხანის არქეოლოგიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა პროფესორმა გერჰარდ ბოსინსკიმ, რომელმაც უყოყმანოდ დაადასტურა ქართველი არქეოლოგების ვარაუდი. გადაწყდა ამ სამუშაოებში გერმანელი კოლეგების მონაწილეობა.

1991 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და გერმანიის ე. წ. რომაულ-გერმანული მუზეუმის პალეოლითური კვლევის ცენტრის ერთობლივი ექსპედიცია ბატონ ვახტანგ ჯაფარიძის საერთო ხელმძღვანელობით შეუდგა გათხრების გაგრძელებას ქვის ხანის სადგომზე. გერმანელთა მხრიდან იყვნენ პროფ. გერჰარდ ბოსინსკი და მისი ასისტენტი ანტია იუსტუსი, ქართველთაგან—ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე ჯუმბერ კოპალიანი, არქეოლოგები მედეა ნიორაძე (რაზმის ხელმძღვანელი), დავით თუშაბრამიშვილი (კონსულტანტი), ახალგაზრდა მეცნიერები ნიკა თუშაბრამიშვილი, ლიკა ქორქია, ანანო მელია, პალეონტოლოგი აბესალომ ვეკუა, გეოლოგი მერაბ თვალჭრელიძე, პალეოგეოგრაფი დავით ლორთქიფანიძე, ფოტოგრაფები ერიკ ბროდსკი და გიორგი გიორგობიანი, ტოპოგრაფი ვახტანგ მასხარაშვილი. მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები: თეონა მელია, ლევან დადიანი, დავით ქვანია, გოჩა კილაძე და ტექნიკური უნივერსიტეტიდან დავით ნიორაძე.

ორ თვეს იმუშავა ექსპედიციამ და უაღრესად საყურადღებო და მრავალფეროვანი მასალა მოიპოვა. მხოლოდ ამ სეზონის განმავლობაში აღმოჩენილია 300-მდე ქვის იარაღი, — ყველაზე უძველესი, რაც კი აქამდე აღმოჩენილა საქართველოსა და მთელი ე. წ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (მანამდე, უძველესად, ყარაბაღში, აზიხის გამოქვაბულში ნაპოვნი ითვლებოდა).

დმანისის ნაქალაქარის ქვედა ფენებში აღმოჩენილი ქვის იარაღი, გაკაჟებული ტუფისაგანაა დამზადებული, რომელიც იქვე, მდ. ფინეზაურისა და მაშავერას ხეობაში მოიპოვება. არის კვარცისგან დამზადებული იარაღიც. არქეოლოგები ასკვნიან, რომ იარაღი ადგილზევე მზადდებოდა, რაზედაც მიუთითებს ანატკეცები და ფირფიტები, იარაღიდან გამოირჩევა ძალიან არქაული იეროს ორმხრივ სამუშაოიანი საჩეხები და სხვა. ამ იარაღის აღმოჩენა მეტად დიდი მნიშვნელობისაა: საბოლოოდ დადასტურდა, რომ აქ საქმე გვაქვს უძველესი ადამიანის საქმიანობისა და ცხოვრების ნაშთებთან.

ცხოველთა ძვლებშიც გამოიყოფა ირმის რქები, რომელთაც ეტყობათ ადამიანის მიერ დამუშავების კვალი. მაგრამ ქვის ხანის არქეოლოგიის სპეციალისტებისთვის განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს წელს აღმოჩენილი ირმის თავის ქალის ნაწილი, რომელზედაც შემორჩენილია რქები, ასევე ადამიანის მიერ დამუშავებული. თუ მას საკულტო დანიშნულება ჰქონდა, ესეც ამ ხასიათის ერთ-ერთი უძველესი აღმოჩენა იქნება.

ამ იარაღისა და მთლიანად აქ აღმოჩენილი ნაშთების ასაკის განსასაზღვრავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს უაღრესად მდიდარსა და მრავალფეროვან ფაუნისტურ მასალას — უძველეს ცხოველთა ძვლებს, რომლებიც შეისწავლეს აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ და პროფესორმა აბესალომ ვეკუამ. მათ გამოყვეს გიგანტური სირაქლემა, სამხრეთული სპილო, ე. წ. სტენონის ჯგუფის ცხენები, ე. წ. ეტრუსკული მარტორქა, მგელი და დათვი, თავისებური ნამარხი ძროხა და ცხვარი, გიგანტური ირემი, ირემლაღი, შველი და სხვა. აქ დასახელებულ ცხოველთა უმრავლესობა უკვე რამდენიმე ასეული ათასი წელია, რაც გადაშენდა. პალეონტოლოგები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამხრეთულ სპილოს და ე. წ. ეტრუსკული მარტორქების ძვლების აღმოჩენას, რამდენადაც მათ დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვთ. დადასტურებული ცხოველები არსებობდნენ ე. წ. ვილაფრანკულ პერიოდში, რომელსაც მილიონ წელზე უფრო ადრინდელ ხანას აკუთვნებენ.

სახეობათა ევოლუციის თვალსაზრისით, დიდმნიშვნელოვანია თავისებური განმარხებული ძროხის თავის ქალა, რადგან თავისი მორფოლოგიური ნიშნებით უკავშირდება ადრეპლეისტოცენურ ეობიზონებს და ადრევე ცალკე გვარად და სახეობად გამოყვეს ქართველმა პალეონტოლოგებმა (ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ა. ვეკუა). აღსანიშნავია, აგრეთვე დმანისში აღმოჩენილი სირაქლემის ბარკლის ძვალი, რომელიც თავისი ზომითა და მასიურობით აღემატება დღემდე ცნობილ ყველა სირაქლემას ბარკლის ძვალს და, ჩვენი პალეონტოლოგების აზრით, უახლოვდება იმ სახეობას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ადამიანის ერთ-ერთ უძველეს სადგომზე — ოლდუვეიშია (აფრიკა) დადასტურებული. დმანისის ფაუნისტური კომპლექსი თავისი შედგენილობით მიეკუთვნება 1 მილიონი წლის წინადროინდელ ხანას — ასეთია ბატონ ლეო გაბუნიასა და ბატონ აბესალომ ვეკუას დასკვნა, რომელიც დაფუძნებულია დმანისის ხერხემლიანთა ფაუნის ანალიზსა და სხვა ქვეყნების ფაუნისტურ კომპლექსებთან შეჯერებაზე.



იმდროინდელი ფლორის რეკონსტრუქციისთვის უდიდესი მნიშვნელობისაა ჭრილებში ფიქსირებული განმარხებულ მცენარეთა მტვერი, რომლის ანალიზის შედეგად, დგინდება მცენარეული საფარის შედგენილობა: ძირითადად წიფელი, მუხა, რცხილა, აგრეთვე ცაცხვი, ფიჭვი და სხვა. ნაპოვნია ქვათესლას, მაჩხას, ბარდის და სხვათა თესლი. იმ დროს ყოფილა ფართოფოთლოვანი ტყეები, ჰავა კი თბილი და ტენიანი — ასეთია პალინოლოგების დასკვნა.

საინტერესოა, აგრეთვე, რომ ზემოაღნიშნული ნაშთები ძევს თითქმის უშუალოდ ვულკანური ფერფლის დანაშრევებზე. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს ეს ტერიტორია აუთვისებია სულ მალე, სადღაც ახლოს ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ. როდის უნდა მომხდარიყო ეს? არქეოლოგიური აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ ეს მოხდა მილიონი წლის წინ, ან უფრო ადრე!

და ბოლოს, 1991 წლის 24 სექტემბერს (ეს უთუოდ ისტორიული თარიღი გახდება ჩვენი მეცნიერების ისტორიაში) დმანისში აღმოჩნდა იმდროინდელი ადამიანის ქვედა ყბა. იქვე ახლოს არქეოლოგებმა იპოვეს ცხოველთა ძვლები (ხმალკბილა ვეფხვის, ცხენის, მგლის) და, რაც ასევე დიდი მნიშვნელობისაა, — ქვის იარაღები, მილიონი წლის წინ ადამიანის მიერ დამზადებული და გამოყენებული.

ახალაღმოჩენილი ადამიანის ქვედა ყბა საკმაოდ კარგად არის შემონახული: შემორჩენილია 16-ვე კბილი, რომელთა მიხედვით ასკვნიან, რომ იგი 20-22 წლის ადამიანს (ალბათ, ქალს) ეკუთვნოდა. ყბა საკმაოდ მასიურია და, ბატონ ლეო გაბუნიას აზრით, თანამედროვე ადამიანის ყბისგან განასხვავებს ნიკაპის შვერილის განუვითარებლობა და ე. წ. ალვეოლარული რკალის სივიწროვე.

— ძალიან მინდოდა მენახა ადამიანის თავის ქალა, რადგან იგი შეგვაძლებინებს, წარმოვიდგინოთ პირველყოფილი ადამიანის სრული აგებულება. და აი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოვიკვლიეთ ადამიანის ქვედა ყბა. აქედან, ჩვენ ბევრი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, — განაცხადა გერმანელმა მეცნიერმა გერჰარდ ბოსინსკიმ. დმანისში ქართველ მეცნიერებთან ერთად სულ ცოტა ათ წელიწადს ვიმუშავებთ. შარშან ნოვოსიბირსკის სიმპოზიუმზე დმანისის გათხრებზე მოსმენილს ნანახმა გადააჭარბა. ეს მართლაც იშვიათი და უნიკალური ძეგლია თავისი სიძველითა და მოპოვებული მასალით. მიმუშავია საფრანგეთში, არქეოლოგიურ გათხრებზე, ასევე გერმანიაში... აქ ნანახით ჯერ კიდევ გაოგნებული ვარ...

ამიერიდან სხვა შესასწავლ საკითხებთან ერთად ახლებურად დგება ევრაზიის ტერიტორიაზე ადამიანის განსახლების დროისა და პირობების პრობლემა.

მიღწეულია შეთანხმება, რომ ქართველ არქეოლოგებს, მომიჯნავე დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს, სამუშაოდ მიიწვევენ პროფესორ გ. ბოსინსკის სამეცნიერო ცენტრში. ამავე ცენტრის მიწვევით მიმდინარე წლის დეკემბერში აკადემიკოსი ლ. გაბუნია დმანისში უძველესი ადამიანის ქვედა ყბის აღმოჩენას მოახსენებს ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესს, რომელიც პითეკანთროპის აღმოჩენის 100 წლისთავს ეძღვნება.

დმანისის ახალი აღმოჩენა ქართული არქეოლოგიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი

ამა წლის 19 ოქტომბერს ქ. თელავში გაიმართა კავკასიოლოგთა I საერთაშორისო სიმპოზიუმის გამსვლელი სხდომა. აღსანიშნავია, რომ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. ასე რომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ სიმპოზიუმს თელავში ასევე იუბილარი სასწავლო დაწესებულება მასპინძლობდა.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ბატონი როინ ჰიკაძე. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქალბატონი ზეინაბ კერაშევა (მაიკოპი), ქალბატონი ლიდა ჰკადუა (სოხუმი), ქალბატონი ვივიენ ლოუ (კემბრიჯი), ბატონი სერგეი პაზოვი (კარაჩაევსკი) და ბატონი ვაჟა შენგელია (თბილისი).

მოხსენებები წაიკითხეს: პროფ. ლ. ჰკადუამ (სოხუმი), დოც. ლ. შალვაშვილმა (თელავი), დოც. გ. გოგოლაშვილმა (თბილისი), აკად. წ/კორ. ბ. ჯორბენაძემ (თბილისი).

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: აკად. ქ. ლომთათიძე, პროფ. ზ. კერაშევა, დოც. ს. პაზოვი, დოც. ვ. შენგელია, დოც. ა. აბრეგოვი და სხვები.

მიუხედავად რთული პოლიტიკური სიტუაციისა სიმპოზიუმმა ძირითადად შეასრულა თავისი დანიშნულება. აჩვენა სადღეისოდ კავკასიოლოგიის მაღალი მეცნიერული დონე. ყველა მოხსენება გამოირჩეოდა სიახლით და თავისი წვლილი შეიტანა იბერიულ-კავკასიური ენების კერძო და ზოგადთეორიული პრობლემების დამუშავებაში.

საჩუქარი მადლიერი დედისაგან...

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ საქართველო კვლავ მასპინძლობს დებორ-ცენტრის ქირურგებს.

25 ოქტომბერს ამერიკელი სტუმრები, მათი ქართველი კოლეგები და ჟურნალისტები, მიგვიწვიეს პანტომიმის თეატრში, რომლის ფოიეშიც მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის ვიოლა მაისურაძის ნახატების გამოფენა.

ეს გამოფენა განსაკუთრებული იყო იმით, რომ აქ წარმოდგენილი ექსპონატები მთლიანად საჩუქრად გადაეცა დებორ-ცენტრს იმ დიდის მადლიერების ნიშნად, რომელსაც შვილი განუკურნეს (ვიოლა მაისურაძის გოგონას, მაკა მაისურაძეს ამერიკელმა ექიმებმა შარშან გაუკეთეს ოპერაცია).

— ბევრს ვფიქრობდით იმის თაობაზე, თუ რა სახით გამოგვეხატა ჩვენი მადლობა ამერიკელი ექიმების მიმართ, — გვითხრა ქალბატონი ვიოლას მეუღლემ ბორის მაისურაძემ, — და რაკი, ჩემი მეუღლე ხატავს, გადავწყვიტეთ გამოფენა მოგვეწყო, ხოლო გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები მთლიანად გვეჩუქებინა დებორ-ცენტრისათვის.

აქვე გავესაუბრეთ დებორ-ცენტრის ერთ-ერთ წამყვან ექიმს ქალბატონ მარია კოლომბას, რომელიც გამოფენაზე პირდაპირ ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოდან მოვიდა, სადაც მან გასინჯა შარშანდელი ნაოპერაციევი პაციენტები. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღეისათვის ძალიან კარგია. ქალბატონმა მარიამ გასინჯა აგრეთვე სხვა 42 ბავშვიც, რომლებსაც უნდა გაუკეთდეთ ოპერაცია. ამათგან 6-ს შედარებით მძიმე მდგომარეობა აქვს, შესაძლოა ისინი წაიყვანონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ სტუმრები დაესწრნენ პანტომიმის თეატრის სპექტაკლს „სტუმარ-მასპინძელი“, დადგმულს ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

სწორედ სპექტაკლის დაწყების წინ გავესაუბრეთ ჩვენს ამერიკელ კოლეგას ნიუ-ჯერსის შტატიდან, ჟურნალისტ კურტ ფისელს. მკითხველს შევახსენებთ, რომ მისმა ფილმმა, რომელიც შარშან საქართველოში ყოფნისას გადაიღო, ამერიკაში დიდი მოწონება დაიმსახურა და „ოქროს არწივი“ მიიღო, რაც ისევე პრესტიჟულია დოკუმენტური ფილმისათვის, როგორც „ოსკარი“ მხატვრულისათვის. ჩვენთან საუბარში კურტ ფისელმა აღნიშნა, ფილმის წარმატება განაპირობა უწინარესად იმან, რომ მე, ორი შვილის მამას, ძალზე მტკივა გული, როცა ბავშვი ავადმყოფობს და მთელი ემოციები და შესაძლებლობანი ჩავაქსოვე ამ ფილმში. ამჯერად მას განზრახული აქვს გადაიღოს მეორე ფილმი, რომელშიც აისახება, თუ როგორ ცხოვრობს ჩვეულებრივი ქართული ოჯახი, თავისი ყოველდღიურობითა და პრობლემებით. ფილმს კონკრეტული გმირიც ეყოლება: მაკა მაისურაძე. მაყურებლისათვის საინტერესო იქნება, თუ როგორ ცხოვრობს ის, რა შეიცვალა მისთვის და მთლიანად მისი ოჯახისათვის ოპერაციის შემდეგ ამოდენა პრობლემის მოხსნით.

დასასრულს გვინდა შევახსენოთ მკითხველს: ამერიკელი კოლეგას პირველი ფილმის სახელწოდებაა „გულის მისია“. ჩვენ კი ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ იმ სიკეთეს, გულისხმიერებასა და სიქველეს, რაც ამერიკელმა ექიმებმა გამოიჩინეს ჩვენი პატარების მიმართ, სწორედ რომ მხოლოდ კეთილი გულების მისია შეიძლება ეწოდოს.

ეკა ლეჟავა.

საკუთარ სახლში

გაიმართა კონფერენცია

24 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა ასოციაციის რიგგარეშე კონფერენცია. კონფერენციის მუშაობას წარმართავდა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბატონი მ. საყვარელიძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი აკადემიკოსი ო. ღუდუშაური.

კონფერენციამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეკომისიაში შემუშავებული კონფერენციის პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“, აგრეთვე, კანონპროექტები „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის სტატუსის შესახებ“.

კონფერენციამ ძირითადად მოიწონა აღნიშნული დოკუმენტები, ხაზი გაუსვა მათ უდიდეს მნიშვნელობას რესპუბლიკის ჯანდაცვის სამსახურის რეფორმის საქმეში, თუმცა, გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნებიც.

ამავე დროს აღინიშნა, რომ უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეკომისიის საკანონმდებლო საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურის გარდაქმნის საჭირო ტემპს. ბევრი კანონის თუ საკანონმდებლო აქტის მომზადება და მიღება ჭიანურდება, მაგალითად, დღემდე არ არის მიღებული კანონი ასოციაციების შესახებ.

საკითხის განხილვისას გამართულ კამათში ნათლად გამოიკვეთა ის აზრი, რომ რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურის გარდაქმნა უნდა წარიმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სადაზღვევო მედიცინის ჩამოყალიბება; სამედიცინო სამსახურის დარგობრივი დეცენტრალიზაცია; სამედიცინო სამსახურის და მისი ცალკეული დარგების უსწრაფესი ჩართვა ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში. აქედან გამომდინარე, სამედიცინო სამსახურის ცალკეული დარგების, მათ შორის ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სამსახურის მთავარი ამოცანაა, შექმნას და განახორციელოს დარგის დამოუკიდებელი განვითარების პროგრამა. დღეისათვის რამდენიმე ალტერნატიული კონცეფციის შეჯერების საფუძველზე უკვე შექმნილია რესპუბლიკის ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სამსახურის გარდაქმნის ამგვარი პროგრამა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრს გადაეცა დიღმის დასახლებაში ახლად აღმართული შენობა, დარგის განვითარებას კარგი პერსპექტივები შეექმნა.

კონფერენციაზე წამოიჭრა ჯანმრთელობის დაცვისა და სოც-უზრუნველყოფის სამინისტროს მთავარი ორთოპედ-ტრავმატოლოგის დღევანდელი სტატუსისა და ფუნქციების საკითხი. გამოითქვა უკმაყოფილება სამინისტროს მთავარი სპეციალისტის საქმიანობის გამო. აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოც-უზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას მთავარი სპეციალისტის დანიშვნის ავტორიტარულ მეთოდზე. სამინისტროს მთავარი სპეციალისტი უნდა იყოს კოლეგების მიერ კენჭისყრით არჩეული წარმომადგენელი სამინისტროში და არა ზემოდან თავსმოხვეული პიროვნება. გადაწყდა, ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა ასოციაციის უახლოეს ყრილობაზე საყოველთაო და ფარული კენჭისყრით მოეწყოს მთავარი სპეციალისტის არჩევნები და არჩეული პიროვნება დასამტკიცებლად წარედგინოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოც-უზრუნველყოფის სამინისტროს. ასოციაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით გადაწყდა, უახლოეს ხანში გაიმართოს ასოციაციის რიგგარეშე ყრილობა.

საქართველოს ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა ასოციაციის პრესჯგუფი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად ვაქვეყნებთ პოლიტიკური ორგანიზაციების წესდებებს

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წესდება

პრეამბულა

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის უპირველესი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ძირითადი კრედოა ცხოვრებისა და კანონის ანუ ფაქტისა და ფორმის ერთიანობა.

პარტია არ უარყოფს საბჭოთა (რუსეთის) იმპერიისაგან განთავისუფლების შეიარაღებულ გზას, რაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მაგრამ ითვალისწინებს რა რეალურ სიტუაციას, მოქმედებს მშვიდობიანი მეთოდებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ფარგლებში.

პარტიის უმთავრეს ამოცანად მიაჩნია:

1. საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობის დაფიქსირება;
2. საერთაშორისო სამართლის საფუძველზე საქართველოს სრული გათავისუფლება.

პარტიას აუცილებლად მიაჩნია საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ორგანოების გამიჯვნა, აგრეთვე, ე. წ. „მეოთხე ხელისუფლების“ — საინფორმაციო საშუალებების თავისუფლება.

პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს გათავისუფლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლონიური ეკონომიკური სტრუქტურებიდან დამოუკიდებელ ეროვნულ ეკონომიკაზე გადასვლას.

იმისათვის, რომ პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი არ მოხვდეს განუკითხაობის პერიოდში საეჭვო გზებით გამდიდრებულ ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში, ხოლო ხალხის უდიდესი ნაწილი არ დარჩეს ყოველგვარი საკუთრების შეძენის შესაძლებლობის გარეშე, რისი საფრთხეც საკმაოდ რეალურია, აუცილებელია პრივატიზაციის დაწყებამდე საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს შეექმნას საკუთრების სურვილისამებრ შესყიდვის ოპტიმალურად თანაბარი საწყისი პირობები.

საჭიროა შეფასდეს სახელმწიფო ქონების ის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია პრივატიზაციისთვის, და მისი საერთო ჯამი გაიყოს საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობაზე. მიღებული თანხა იქნება ის, რომელიც მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს სერთიფიკატის სახით ქონების (წარმოება-დაწესებულებები, მანქანა-იარაღები, მიწა, ბინა და სხვა) საკუთარი სურვილისამებრ შესაძენად.*

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წესდება

I. პარტიის წევრი

1. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, აგრეთვე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ქართველი, რომელიც აღიარებს პარტიის წესდება პროგრამას, ღებულობს მონაწილეობას მის განხორციელებაში და იხდის საწევრო გადასახადს. პარტიის წევრობის დამადასტურებელი საბუთია პარტიის წევრობის მანდატი.

2. პარტიის წევრს უფლება აქვს:
ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;
ბ) შეიტანოს წინადადებები პარტიის ყველა დონის ხელმძღვანელ ორგანოებში;
გ) უმოტივაციოდ გავიდეს პარტიის რიგებიდან;

3. პარტიის წევრი ვალდებულია:
ა) გაუფრთხილდეს პარტიის ავტორიტეტს, იზრუნოს მისი ამაღლებისთვის;
ბ) არ იმოქმედოს პარტიის საზიანოდ;
გ) დროულად შეიტანოს საწევრო გადასახადი;

4. წესდების უხეში დარღვევისათვის პარტიის წევრი შეიძლება გაირიცხოს პარტიის შემადგენლობიდან. გარიცხულ წევრს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს პარტიის ზემდგომ ორგანოს, პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება წევრის გარიცხვაზე საბოლოოა;

5. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი არ შეიძლება იყოს ამავე დროს სხვა პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წევრი.

II. პარტიის მხარდამჭერი

1. პარტიის მხარდამჭერი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, აგრეთვე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ქართველი, რომელიც იზიარებს პარტიის პოზიციას და სურვილისამებრ მონაწილეობს მისი პროგრამის შესრულებაში;

2. პარტიის მხარდამჭერს უფლება აქვს:
ა) შეიტანოს წინადადებები პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;
ბ) ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით;
გ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის პროგრამის განხორციელებაში;
დ) მოტივირების გარეშე დატოვოს პარტიის მხარდამჭერთა რიგები;

3. პარტიის მხარდამჭერი ვალდებულია:
ა) გაუფრთხილდეს პარტიის ავტორიტეტს, იზრუნოს მის ამაღლებაზე;
ბ) არ იმოქმედოს პარტიის საზიანოდ;

4. პარტია იცავს თავისი წევრებისა და მხარდამჭერების ინტერესებს როგორც პარტიის შიგნით, ასევე მის გარეთაც.

III. პარტიის სტრუქტურა

1. პარტიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული კომიტეტები;

2. პარტიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული შექმნილად ითვლება, თუ მასში გაერთიანებულია სამი წევრი მაინც. წევრების ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში მას ეწოდება საინიციატივო ჯგუფი;

3. პირველადი სტრუქტურული ერთეულის კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც;

4. პირველადი სტრუქტურული ერთეულების წევრთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით;

5. პარტიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები შეიძლება გაერთიანდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით;

6. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც ტარდება 2 წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კი უფრო ხშირად, პარტიის თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან ძირითადი სტრუქტურული ერთეულების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით. ყრილობაზე დელეგატების ნორმებს ადგენს მთავარი კომიტეტი;

7. პარტიის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგირებულ პირთა 2/3.
ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით;

8. ყრილობა ორი წლის ვადით ირჩევს პარტიის და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეს. პარტიის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს თავმჯდომარის მოადგილეს, პასუხისმგებელ მდივანს და მთავარი კომიტეტის დანარჩენ 7 წევრს, ხოლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს სარევიზიო კომისიის წევრებს 3 კაცის შემადგენლობით;

9. პარტიის ყრილობა ისმენს და ამტკიცებს მთავარი კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს. იღებს წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები;

10. ყრილობებს შორის პარტიის უმაღლესი ორგანოა მთავარი კომიტეტი, რომელიც იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კი უფრო ხშირად პარტიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან პასუხისმგებელი მდივნის მოთხოვნით.

11. მთავარი კომიტეტი არანაკლებ სამ თვეში ერთხელ იწვევს დარბაზს, დარბაზის შემადგენლობაში შედიან: მთავარი კომიტეტი, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დარბაზის მუშაობაში მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით;

12. დარბაზის სხდომას უძღვება პარტიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე ან პასუხისმგებელი მდივანი;

13. ფინანსური ოპერაციების წარმართვისათვის დარბაზი ირჩევს ხაზინადარს;

14. დარბაზი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დარბაზის წევრთა 2/3 მაინც. დარბაზი გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით;

15. დარბაზს უფლება აქვს შექმნას მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები;

16. კომისიის თავმჯდომარეებს და გაზეთის რედაქტორს პარტიის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს მთავარი კომიტეტი;

17. პარტიის კომისიებში, პოლიტიკური კომისიის გარდა, მუშაობის საშუალება მიეცემათ საქართველოს მოქალაქეებს პარტიული ნიშნის მიუხედავად;

18. კომისიათა მუშაობას წარმართავენ მათი თავმჯდომარეები;

19. პარტიის სარევიზიო კომისია არანაკლებ წელიწადში ერთხელ ამოწმებს პარტიის ფინანსურ და სხვა საქმიანობას;

20. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ამავე დროს მთავარი კომიტეტის წევრი;

21. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობის წინაშე;

22. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის.

IV. პარტიის მატერიალური სახსრები

1. პარტიის მატერიალური სახსრები შედგება საწევრო გადასახადებისაგან, საგამომცემლო და სიმბოლიკის დამზადების და გასაღების, მოქალაქეთა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა შეწირულობების, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხისაგან;

2. პარტიის წევრი ყოველ თვე იხდის საწევრო გადასახადს 5 მანეთის ოდენობით. სტუდენტების, პენსიონერებისა და უმუშევარი წევრებისათვის საწევრო გადასახადი არის თვეში 1 მანეთი;

3. პარტიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ფულადი შემოსავლის 50% ირიცხება პარტიის რესპუბლიკურ ანგარიშზე. დანარჩენ სახსრებს განაგებენ ადგილობრივი კომიტეტები თავისი შეხედულებისამებრ;

4. პარტიის რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ საკუთარი ბიუჯეტი, ბალანსი, მიმდინარე ანგარიში ბანკში, მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ბლანკი;

5. მთავარი კომიტეტი განაგებს პარტიის ფინანსებს.

V. პარტიის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები

1. პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

2. პარტია ურთიერთობას ამყარებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

3. პარტიის ადგილსამყოფელია თბილისი, შევჩენკოს ქ. № 6, ტელ: 98-83-11; 98-83-12;

VI. პარტიის ლიკვიდაციის წესი

1. პარტიის საგანგებო ყრილობა უფლებამოსილია მოახდინოს პარტიის ლიკვიდაცია, ლიკვიდაციის მოთხოვნას მხარი უნდა დაუჭიროს ყრილობის დელეგატთა 3/4-მა;

2. ლიკვიდაციის შემთხვევაში პარტიის ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

---

*ა) მიმდინარე საბაზრო ფასებით სერთიფიკატის საორიენტაციო ღირებულება, ჩვენი შეფასებით, 40.000 მანეთამდეა ფასების შემდგომი ინდექსაციით;

*ბ) ზრდასრულ მოსახლეობას კუთვნილი თანხის სერთიფიკატი მიეცემა სრულად, მცირეწლოვნებს — თანხის 1/16 ყოველ წელს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია-91“-ის

მიმართვა

რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს

ბატონო პრეზიდენტო!
ბატონო თავმჯდომარევ!

კვლავ დაიძაბა ვითარება შიდა ქართლში, სადაც იმატა შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი ესკალაციით გამოწვეულმა მსხვერპლმა. ამას თან ერთვის საკავშირო საინფორმაციო საშუალებებით არასამართლებრივ იდეათა პროპაგანდა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის გამო უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და დასახოს რეგიონში მდგომარეობის გამოსწორების პოლიტიკური გზები.

ვფიქრობთ, უნდა აღდგეს საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოთა დეპუტატების სამმხრივი კომისიის მუშაობა, რაც თავის დროზე ხელს უწყობდა რეგიონში სტაბილური ვითარების შენარჩუნებას, და რომლის შეწყვეტამაც გარკვეულწილად გამოიწვია სიტუაციის ხელახალი გამძაფრება.

გამომდინარე იმ მიმართვებიდან, რომლებიც თავის დროზე გააკეთეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა და უზენაესმა საბჭომ და აგრეთვე, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მოსკოვის თათბირის დასკვნითი დოკუმენტიდან, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის რაიონებში სპეციალური საერთაშორისო მისიების გაგზავნას (პუნქტი 1-16), ჩვენ მოვუწოდებთ უზენაეს საბჭოს, მიმართოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს, რათა საქართველოში მოვლინებულ იქნენ საერთაშორისო ექსპერტები შიდა ქართლში შექმნილი ვითარების გასაცნობად და შესაფასებლად. ვფიქრობთ, მისიების ჩამოსვლა ხელს შეუწყობს არსებული პოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით რეგულირებას.

24 ოქტომბერი, 1991 წ.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქინფორმის მასალა „ისმენენ საქმეს“, სადაც დაშვებულია უზუსტობა. როგორც უზენაესი სასამართლოდან გვაცნობეს, ტორეზ კულუმბეგოვს ბრალი ედება არა ცალკეულ პირებზე თავდასხმის მოწყობასა და მკვლელობაში, არამედ—მკვლელობის მცდელობაში.

მთავარი რედაქტორი მარიკა ახაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, შ. [illegible] ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის [illegible] 99-97-86;
[illegible] 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგამომცემლო
კომბინატში, [illegible] ქ. № 29
[illegible] 86634